22 თებერვალი, ოთხშაბათი, 2012 წ. №2 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

გამოცდის შეფასება თითქმის არ იცვლება

გვ. 6

თსუ-ის ახალი ბიუჯეტის პრიორიტეტები

გვ. 2

თსუ-ის სტუდენტთა სტაჟირების პერსპექტივა საზოგადოებრივ მაუწყებელში

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები საზოგადოებრივ მაუწყებელში სტაჟირებას გაივლიან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, ბაკალავრიატის VIII სემესტრის 20 საუკეთესო სტუდენტი ტელევიზიაში ერთ თვიან პრაქტიკას სამ ნაკადად გაივლის. სტაჟირება თსუ-ის კურიკულუმის ფარგლებში შედის და მისი დასრულების შემდეგ სტუდენტები 5 სასწავლო კრედიტსაც მიიღებენ.

მე-2 გვერდზე

„აღთქმულ მიწაზე" დაბრუნებულნი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში

გვ. 5

მიხეილ გვერდწითელი:

ცოტა გული მეთანაღრება იმაზე, რომ ქიმიის და საბუნებისმეტყველო საგნებისადმი სიყვარული ცოტა ახალგაზრდას მოჰყვება სკოლიდან. ის თაობა, რომელიც ქიმიის შესასწავლად მოდის უნივერსიტეტში, სამწუხაროდ, მწირი საბაზისო ცოდნითაა შეიარაღებული და ჩვენ სასკოლო ქიმიის სწავლებაში ვკარგავთ დროს. ბაკალავრიატის კურსდამთავრებული დღეს აღარ არის იმ დონისა, რაც ადრინდელ დიპლომირებულ სპეციალისტს ჰქონდა, რადგანაც პირველი ორი წელი, სამწუხაროდ, ჩვენ სკოლის ხარვეზების გასწორებას ვუნდებით.

გვ. 11

უნივერსიტეტის დაარსების დღე აღინიშნა

8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 94-ე წლისთავზე და დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული სტუმრები განახლებული პირველი კორპუსის შენობის ფოიეში შეიკრიბნენ, სადაც საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

შურთხია ბეროშვილი

დამსწრე საზოგადოებას თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა მიმართა: „არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა იმ ფაქტს, რომ პირველი კორპუსის რეაბილიტაციის შემდეგ ეს შენობა თავიდან „დაიბადა" და განახლდა — ეს არის „ახალი სულის ჩაბერვა" და ეს ყველას გვახარებს. ვისაც როდესმე აქ უსწავლია ან უმუშავია, კარგად ახსოვს, რა მძიმე მდგომარეობაში იყო ეს შენობა, დღეს კი სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა... მომავალ წელს უნივერსიტეტი მასშტაბურ და გრანდიოზულ ღონისძიებას გეგმავს, რომელიც ასევე განახლებულ სააქტო დარბაზში გაიმართება. ამასთან, ჩვენ სურვილი გვაქვს, ყველა სტუდენტს, მიუხედავად იმისა, რომელ ფაკულტეტზე სწავლობს, კვირაში ერთი ლექცია მაინც ჩაუტარდეს აქ, რათა უკეთ შეიგრძნოს უნივერსიტეტის ხიბლი. ამიტომ ყველას ვულოცავ დიადი და მშვენიერი შენობის გახსნას", — მიმართა საზოგადოებას ალექსანდრე კვიტაშვილმა.

მე-3 გვერდზე

შურთხია ბეროშვილი

გაზეთი ერთერთი საუკეთესო მემატიანეა და მისი ფურცლები მრავალ საინტერესო დეტალს ინახავს. დღეს უკვე უამრავი წიგნი, მონოგრაფია, მოგონება არსებობს იმის თაობაზე, თუ როგორ და როდის დაარსდა ქართული უნივერსიტეტი? რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს ქართველი ხალხის ცხოვრებაში? მაგრამ ნაკლებად ცნობილია, როგორ აღიქვეს ეს მოვლენა უბრალო ადამიანებმა, სხვადასხვა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა და ა.შ. მათი დამო-

მე-4 გვერდზე

სანახაობა ზოოლოგიურ მუზეუმში — გვ. 2

სტუდენტური არდადეგები გამოცდების ციებ-ცხელების შემდეგ — გვ. 6

დესპანი თსუ-დან — გვ. 7

მესხების საქართველოში რეპატრიაციის შიდაპოლიტიკური და საერთაშორისო კონტექსტები — გვ. 8

ახალი სამეცნიერო კრებულების პრეზენტაცია იურიდიულ ფაკულტეტზე — გვ. 10

სიახლე თსუ-ში

თსუ-ის ახალი ბიუჯეტის პრიორიტეტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია.

ბიუჯეტი უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის პროცესს სრულად უზრუნველყოფს და საშუალებას იძლევა, უფრო მეტი სამეცნიერო პროექტი, სტუდენტური ინიციატივა და საქმიანი ურთიერთობა დაფინანსდეს.

რა პრიორიტეტები განისაზღვრა ახალ ბიუჯეტში და რა სფეროების მიხედვით განაწილდა უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, ამ საკითხებზე გვესაუბრება თსუ-ის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ირაკლი საღარეიშვილი*:*

მაია ტორაძე

— ბატონო ირაკლი, როდის დამტკიცდა უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი და რა პროცედურები გაიარა მან საბოლოო სახის მიღებამდე?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიუჯეტო პროცესი წარიმართა საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების მკაცრი დაცვით. კერძოდ, 2011 წლის ბოლოს უნივერსიტეტის აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა განიხილეს უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი, რომელიც 2012 წლის 25 იანვარს დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ რეგენტთა საბჭოს სხდომაზე.

— რამდენია უნივერსიტეტის ბიუჯეტი და რა თანხებია განსაზღვრული, მაგალითად, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, სამეცნიერო პროექტებზე, სამეცნიერო მივლინებებზე, ფაკულტეტების განვითარებაზე, წიგნების შეძენაზე, სასწავლო ლიტერატურის თარგმნაზე...

— უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი, ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო გრანტების ჩათვლით, განისაზღვრა 58 360 000 ლარით. მათ შორის, ოფისის ხარჯებში გაწერილია 6 243 000 ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებში 1 182 000 ლარი, მივლინებებში 767 000 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯებში 1 314 000 ლარი, შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტზე 786 000 ლარი და ა.შ.

— რა პრიორიტეტები განისაზღვრა ახალ ბიუჯეტში? რას მიექცა განსაკუთრებული ყურადღება?

— ახალ, 2012 წლის ბიუჯეტში, დიდი ყურადღება მიექცა ისეთი ღონისძიებების დაფინანსებას, როგორიცაა სტუდენტური პრაქტიკისა და ექსპედიციის ხარჯები, რაზედაც გათვალისწინებულია 154 000 ლარი; შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო პროექტებისა და გრანტების თანადაფინანსების ხარჯებზე გათვალისწინებულია 100 000 ლარი; საუნივერსიტეტო (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) დაფინანსებაზე — 650 000 ლარი; სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის ხარჯები - 283 000 ლარი, სპორტულ-კულტუტულ ღონისძიებებზე — 305 000 ლარი; სესიების, სემინარების, სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯები — 114 000 ლარი; გამომცემლობისა და სასტამბო მომსახურების ხარჯი — 209 000 ლარი და ა.შ.

— არის თუ არა ახალი პუნქტი ბიუჯეტში?

— არის ერთი ნიშანდობლივი პუნქტი. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოიყო 1 000 000 ლარი, რომელიც მოხმარდება უცხოეთიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების შრომის, ბინის დაქირავების და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო კალათბურთის ხელშეწყობისათვის 300 000 ლარი.

— როგორც ცნობილია, თებერვლიდან უნივერსიტეტში მომატებული ხელფასები გაიცემა. რა პრიორიტეტების მიხედვით განისაზღვრა ხელფასების მომატება?

— დიახ, წლევანდელი ბიუჯეტის მოცულობიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა, უნივერსიტეტის შტატით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების გაზრდა. კერძოდ, ხელფასები მოიმატებს 10-20 %-ის ფარგლებში, რისთვისაც საერთო ჯამში დამატებით გამოიყო 2 500 000 ლარი.

— საბოლოოდ შეაფასეთ ახალი ბიუჯეტი — რამდენად გაზრდილია და რამდენად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის წარმატებებს?

— უნივერსიტეტის ბიუჯეტი შესაძლებლობას იძლევა დაფინანსდეს ის ხარჯები, რომლებიც ხმარდება უნივერსიტეტის, როგორც სასწავლო პროცესისა და კულტურულ-სპორტული ღონისძიებების სრულყოფის, ისე მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტკიცების საკითხებს. ამ სფეროების სათანადო დაფინანსება კი, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს როგორც სასწავლო, ასევე, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას, რაც კიდევ უფრო ხელშესახებს გახდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც წარმატებული უმაღლესი სასწავლებლის, განვითარებას.

სანახაობა ზოოლოგიურ მუზეუმში

7 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განახლებული ზოოლოგიური მუზეუმი გაიხსნა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან ერთად დაათვალიერეს.

შურთხია გეროშვილი

ზოოლოგიური მუზეუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1921 წელს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დაარსების შემდეგ შეიქმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი. მუზეუმს იმთავითვე სასწავლო-სადემონსტრაციო ფუნქცია ჰქონდა. ფონდი მუდმივად ივსებოდა როგორც ფაკულტეტის ექსპედიციების დროს მოპოვებული ექსპონატებით, ისე ცალკეულ მეცნიერთა ნაჩუქარი თუ უნივერსიტეტის მიერ შეძენილი მასალებით. უნივერსიტეტის ახლად ჩამოყალიბებულ მუზეუმს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ბევრი ექსპონატი უსახსოვრა, მათ შორის: ფრინველებისა და ძუძუმწოვრების ფიტულები, მალაკოლოგიური, ექვსვიტრინიანი ენტომოლოგიური კოლექცია, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა კავკასიის მუზეუმში, ასევე, სილამაზით გამორჩეული ტიბეტის ხოხობი – მანალი, რომელიც მეწარმისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის კოლექციიდან არის შემოსული.

1945 წლის 29 სექტემბერს უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ბრძანებით, ზოოლოგიური მუზეუმი ბიოლოგიის ფაკულტეტის ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა და მას სასწავლო-სამეცნიერო სტატუსი მიენიჭა.

1985 წლიდან ზოოლოგიური მუზეუმი უნივერსიტეტის IX კორპუსშია განთავსებული და იგი 350 მ/კვ-ის ფართობის საგამოფენო დარბაზს მოიცავს.

2005 წლიდან ზოოლოგიური მუზეუმი უნივერსიტეტის მუზეუმის შემადგენლობაშია. დარბაზში, სადაც 5000-ზე მეტი ექსპონატია დაცული, წარმოდგენილია უნიკალური მარჯნის პოლიპები, რომლებიც ინდოეთისა და წყნარ ოკეანეშია მოპოვებული. მარჯანი ცოცხალი ორგანიზმია, იგი უხერხემლო ცხოველთა ჯგუფს მიეკუთვნება, მას კიროვანი სტრუქტურა აქვს. მუზეუმში ინახება ცისფერი, თეთრი, ყვითელი, იასამნისფერი და წითელი მარჯანი, რომელსაც კეთილშობილ მარჯანს უწოდებენ. მუზეუმში გვხვდება, როგორც საქართველოს, ისე ტროპიკული ქვეყნების პეპლებისა და ხოჭოების სახეობები.

მე-5 გვერდზე

თსუ-ის სტუდენტთა სტაჟირების პერსპექტივა საზოგადოებრივ მაუწყებელში

პირველი გვერდიდან

ნატო ოგოლაძე

„ჩვენ სასწავლო გეგმაში პრაქტიკული კომპონენტი გავაძლიერეთ. ბაკალავრიატის VIII სემესტრის საუკეთესო სტუდენტებს ვთავაზობთ სტაჟირებას საზოგადოებრივ მაუწყებელში. სტუდენტების პრაქტიკულ მუშაობას მეთვალყურეობას გაუწევს ჩვენი მიმართულების ერთერთი პროფესორი, რომელსაც ისინი ტელევიზიაში მუშაობის ყოველთვიურ ანგარიშს წარმოუდგენენ. ეს მათთვის საუკეთესო შესაძლებლობაა, რომ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. რაც მთავარია, არც სტუდენტებს და არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საფასურის გადახდა არ უწევთ, რისთვისაც საზოგადოებრივ მაუწყებელს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. იმ სტუდენტებს კი, რომლებიც ტელევიზიაში პრაქტიკებზე ვერ მოხვდებიან, შეეძლებათ 3-კრედიტიანი საგნის ფარგლებში უნივერსიტეტის ბაზაზე გაიარონ სტაჟირება, მოამზადონ სიუჟეტები, გადაცემები“, — გვითხრა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა მარიამ გერსამიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 16 თებერვალს გაფორმდა. მას ხელი მოაწერეს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ გააჩნია იმ რაოდენობის ტექნიკური რესურსი, რომ ჟურნალისტიკის მიმართულების ყველა სტუდენტმა პრაქტიკული სამუშაოები გაიაროს. ამიტომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან ჩვენთვის დიდი დახმარებაა. ეს ტელევიზია საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციაა, აქ სტუდენტები კარგ გამოცდილებას მიიღებენ. იმედი მაქვს, რომ ეს პროექტი როგორც ჩვენთვის, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლისთვისაც წარმატებული იქნება“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის გაფორმებული მემორანდუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა გიორგი ჭანტურიამაც.

„მემორანდუმის გაფორმების ინიციატივა თსუ-ის ადმინისტრაციას ეკუთვნის. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რადგან პრაქტიკული გამოცილების მიღების გარეშე შეუძლებელია ჟურნალისტი პროფესიონალ კადრად ჩამოყალიბდეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია სტუდენტებს საკმაოდ ღრმა თეორიული ცოდნა მისცეს, ჩვენ კი მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დავეხმარებით. ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში მედიის განვითარების თვალსაზრისით და საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გავიცნობთ ახალ სახეებს, რომლებიც, შესაძლოა, მომავალში ჩვენი თანამშრომლები გახდნენ“, — განაცხადა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი 2012 წლის საგაზაფხულო სემესტრიდან ამოქმედდება.

უნივერსიტეტის დაარსების დღე აღინიშნა

პირველი გვერდიდან



უნივერსიტეტის იუბილე პროფესორ-მასწავლებლებსა და მოწვეულ სტუმრებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემაც მიულოცა: „დღევანდელ დღეს ჩვენ ასევე შეგვიძლია განახლებული შენობის პრეზენტაციაც ვუწოდოთ. ყველასათვის ცნობილია, თუ რას წარმოადგენს თითოეული ჩვენგანისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს იყო პირველი არარუსულენოვანი უნივერსიტეტი მთელ რუსეთის იმპერიაში და შემთხვევითი არ არის, რომ მისი გახსნა ივანე ჯავახიშვილმა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დაამთხვია. ამიტომ ეს თარიღი დღესაც იმას გულისხმობს, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტი მემკვიდრეა დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემიისა, რომელიც „მეორე ათინად“ და „სხვა იერუსალიმად“ იწოდებოდა. შემთხვევითი არც ის გახლავთ, რომ სწორედ ამ უნივერსიტეტის პროფესორების თაოსნობით დაარსდა ქართული ეროვნული აკადემია, რომელიც სამართლიანად ითვლება ამ უნივერსიტეტის მემკვიდრედ“, — აღნიშნა თამაზ გამყრელიძემ.

საზოგადოებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემაც მიმართა. „დღევანდელი დღე იმითაც არის გამორჩეული, რომ იუბილეს განახლებულ გარემოში ვხვდებით. უნივერსიტეტი ასეთი ლამაზი და მშვენიერი დიდი ხანია აღარ ყოფილა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით მომავალში აქ კვლავაც მრავალი ღონისძიება გაიმართება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავაც დარჩება განათლებისა და მეცნიერების განვითარების ფლაგმანად, ამიტომ უნივერსიტეტის ავტორიტეტის შესანარჩუნებლად და დასაცავად თითოეულმა ჩვენგანმა ყოველდღიურად უნდა იღვაწოს“, — განაცხადა ნოდარ სურგულაძემ.

ღონისძიება სამგანზომილებიანი (3D) ფილმის ჩვენებით დასრულდა, რომელიც უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ისტორიას ასახავდა.

ამავე დღეს უნივერსიტეტის ბაღში მდებარე დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში უწმიდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წმიდა მეფის სახელზე პარაკლისი გადაიხადა და მრევლი დალოცა.

შრომების კრებულის პრეზენტაცია

„დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო ღონისძიებაზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული შრომების კრებულის — „დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“ პრეზენტაცია მოეწყო, რომელიც ამ ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ წარმოადგინა.

„დავით აღმაშენებელი გამორჩეული ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. მისი მმართველობა არა მხოლოდ სამხედრო წარმატებებსა და ქვეყნის პოლიტიკურ ძლიერებასთან არის დაკავშირებული, არამედ ასოცირდება კულტურულ-საგანმანათლებლო ნოვაციებთანაც. დავით აღმაშენებელს, როგორც განსწავლულ ადამიანს, კარგად ესმოდა განათლების მნიშვნელობა ქვეყნის შემდგომი განვითარების საქმეში. ამიტომ მეფემ საჭიროდ ჩათვალა საქართველოში დაეარსებინა ისეთი საგანმანათლებლო კერები, რომლებიც იმდროინდელ მსოფლიოს წამყვან სასწავლებლებს გაუტოლდებოდა. ერთერთ ასეთ ცენტრად გელათი იქცა, რომელიც ქართულ ცნობიერებაში მეორე იერუსალიმად მოიაზრებოდა.

უკვე ტრადიციად იქცა 8 თებერვალს უნივერსიტეტის დაარსების დღის აღნიშვნა. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, რომელიც 1918 წელს დაარსებული უნივერსიტეტის პირველი ფაკულტეტის — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მემკვიდრეა, მოამზადა სპეციალური სამეცნიერო შრომების კრებული „დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“.

ეს გამოცემა სპეციფიკური ხასიათისაა და მასში გაერთიანებულია დიდი ქართველი მეფის მოღვაწეობისა და მის ეპოქასთან დაკავშირებული შრომები. ვიმედოვნებთ, რომ კრებული ჩვენი დიდი წინაპრის ღვაწლს ღირსეულად და მეცნიერული ობიექტურობით წარმოაჩენს“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ნაშრომში შესულია თსუ-ის პროფესორების ნაშრომები, რომლებიც დავით აღმაშენებლის ეპოქას და მის მოღვაწეობას ეხება.

მაგალითად, ქართველ მკვლევართა შორის დღემდე სადაო საკითხად რჩება — როდის ავიდა სამეფო ტახტზე დავით აღმაშენებელი. პროფესორ ჯაბა სამუშიას ნაშრომი სწორედ ამ საკითხს შეეხება. მეცნიერის ინფორმაციით, მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დავითი ხელისუფლებაში სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდა, მეორე ნაწილის აზრით კი, 1089 წელს არავითარი გადატრიალება არ მომხდარა და გიორგი II-მ თავისი ვაჟი თანამოსაყდრედ დააყენა. პროფესორი სტატიაში მეფობის ორი სტატუსის — „თანამეფობაზე“ და „თანამოსაყდრეობაზეც“ ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ამ ორი სტატუსის ერთმანეთში არევა გაუმართლებელია. ჯაბა სამუშია ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მსჯელობს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ 1089 წლამდე დავითი თანამოსაყდრედ ითლებოდა, შემდეგ კი გიორგი II-მ თანამეფედ აკურთხა — „ჩვენი აზრით, ინაუგურაცია ჩატარდებოდა იმავე წესით, როგორც სრულდებოდა მეფედ კურთხევა, ოღონდ ერთი გამონაკლისით, ვინაიდან მეფე – მამა ცოცხალი იყო და მისი მონაწილეობა აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო ცერემონიალის დროს, სწორედ ამიტომ, გვირგვინი მომავალ თანამეფეს კათოლიკოსმა კი არ დაადგა, არამედ, გიორგი II-მ“, — გამოთქვამს თავის ვარაუდს მეცნიერი.

დავით აღმაშენებლის ეპოქის ეპიგრაფიკულ ძეგლებზე საუბრობს თავის ნაშრომში პროფესორი გიორგი ოთხმეზური. ამ ძეგლების გაცნობა მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დავითის პოლიტიკური, აღმშენებლობითი თუ კულტურული ღონისძიებების შესახებ; ასევე აზუსტებს თანამოსაყდრეობისა და ხელმეორედ მეფედ კურთხევის საკითხებს, საკუთრივ, დავითის წოდებას — „დიდი“, „აღმშენებელი“; წარმოაჩენს მის პიროვნულ თვისებებს და სხვა. მეცნიერის ინფორმაციით, წარწერათა ნაწილი დათარიღებულია, ნაწილი კი თარიღდება ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებით, რაც მეტად ღირებულია პალეოგრაფიული თვალსაზრისით.

დავით აღმაშენებლის ხელისუფლების ცენტრალიზაციის ერთერთ ასპექტს განიხილავენ თავიანთ ნაშრომში პროფესორები: ანდრო გოგოლაძე და მედეა გოგოლაძე. მკვლევართა ინფორმაციით, დავითმა თავისი მეფობის დროს საქართველოს კანცლერის, მწიგნობართუხუცესის თანამდებობას შეუერთა ორი დიდი საეპისკოპო სახელო: აღმოსავლეთ საქართველოში — ალავერდი და დასავლეთ საქართველოში — ბედიელი. დავითის ეს გადაწყვეტილება ხელისუფლების ცენტრალიზაციის და ქვეყნის გაერთიანების მიზნით იყო განპირობებული. მას სურდა სამეფო ხელისუფლების საზღვრების გაფართოება, რადგან მწიგნობართუხუცესი — ეპისკოპოსი მეფის სანქციით განაგებდა და კონტროლს გაუწევდა ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ ცხოვრებას. მკვლევრები თავიანთ ნაშრომში ამ საკითხს ვრცლად და საფუძვლიანად განიხილავენ.

დავით მეფის მოღვაწეობის შემფასებელი მისივე ბიოგრაფი და „დავითის ისტორიკოსად“ წოდებული „ანონიმი ავტორი” იყო. პროფესორ დიმიტრი შველიძის ნაშრომი სწორედ ამ ისტორიკოსის მოღვაწეობაზე მოგვითხრობს. „იგი იყო პირველი მათ შორისაც, ვინც სცადა დავითის პიროვნება, მისი მხედართმთავრული ღირსებები და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა უდიდეს და უცნობილეს მსოფლიო დონის პიროვნებებზე მაღლა დაეყენებინა. ვინ არიან ისინი? — ტროას ომის გმირები: აგამემნონი და პრიამოსი, აქილევსი და ჰექტორი, ოდისევსი და ორესტე. ისტორიკოსის აზრით, მათ ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, რამდენადაც მათი სახელები იყო ცნობილი“, — წერს დიმიტრი შველიძე.

მეცნიერის ინფორმაციით, „ანონიმი ავტორი” მარტოოდენ განცხადებებით არ კმაყოფილდება და საკუთარი გაბედული მოსაზრებების დასაბუთებასაც ცდილობს. მემატიანეს მტკიცებით, ვერც რომაელი იმპერატორების — ვესპასიანესა და ტიტუსის მიერ აჯანყებული იუდეველების წინააღმდეგ ბრძოლა შეედრებოდა აღმაშენებლის ძლევამოსილ ბრძოლებს.

დიმიტრი შველიძის ინფორმაციით, დავითის ისტორიკოსის შედარების მთავარი სამიზნე მაინც ალექსანდრე მაკედონელია. მართალია იგი საღად აფასებს მაკედონელის ღირსებასა და ტალანტს, მაგრამ მიიჩნევს, რომ დავითი მას არაფრით ჩამოუვარდებოდა — „არცა საქმითა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა უმცირე.... თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე“, — წერს მემატიანე.

მეცნიერის აზრით, ასეთ შედარებას შემთხვევით არ აკეთებს დავითის ისტორიკოსი, მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცის ალექსანდრე მაკედონელის შესაძლებლობები: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველოს სამეფო მაინც ვერ შეედრებოდა მაკედონიიდან ინდოეთ-ეგვიპტემდე გადაჭიმულ ალექსანდრეს იმპერიას, მაგრამ XII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი იხტიბარს არ იტეხს და გვარწმუნებს, რომ იმ სამხედრო ძალით, რომელიც დავითს გააჩნდა, ვერც ალექსანდრე მიაღწევდა ვერაფერს, პირიქით, დავითს რომ ბერძენ-რომაელთა ან სხვა დიდი სახელმწიფოს შესაბამისი სამხედრო ძალები ჰყოლოდა, „მაშინამცა გენახნეს ნაქმარნი მისნი“.

დიმიტრი შველიძის აზრით, დავითის ისტორიკოსს სრულიად სამართლიანი პრეტენზია ჰქონდა, თავისი მეფე შეედარებინა მსოფლიო ისტორიის ხმაურიანი სახელებისთვის და მისი ამბიცია საფუძველს მოკლებული არ იყო, როდესაც თამამად წერდა: „ვერავინ ძველითა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსაო“.

საქართველოს ისტორიის შრომების სპეციალურ გამოცემაში მკითხველი ასევე გაეცნობა თსუ-ის პროფესორების ნაშრომებს: მიხეილ ბახტაძის — „ერისთავობის საკითხი დავით IV აღმაშენებლის ცენტრალისტურ პოლიტიკაში“; მზექალა შანიძის — „დაჰმანი“; თედო დუნდუას — „გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები, თეოდორე გაბრასი და დავით აღმაშენებელი“; ვახტანგ ლიჩელის — „შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა აწყურიდან“; ალექსანდრე ბოშიშვილის — „ლორე. ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა“; ნიკო ჯავახიშვილის — „მეფე დავით IV აღმაშენებლის ასახვა ქართულ სახელმწიფო და სამხედრო სიმბოლიკაში, (XVIII – XX საუკუნეები)“ და მიხეილ ქართველიშვილის — „დავით აღმაშენებელი ქართულ მეცნიერებაში. ბიბლიოგრაფია“. მეცნიერთა შრომები დავით აღმაშენებლის ეპოქის სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს ასახავს.

მისალოცი სიტყვა

მრჩეველთა საბჭოს სახელით მოგილოცავთ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის, თეთრი ტაძრის ხელმეორედ დაბადების დღეს. ალბათ სიმბოლურია, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, რექტორის ინიციატივით, ამ შესანიშნავი ტაძრის აღორძინების ცერემონიალი მეფე დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ დღეს დაამთხვია. სასიხარულოა, რომ ხუროთმოძღვარ სიმონ კლდიაშვილისა და ნიკოლოზ ცხვედაძის რენესანსული არქიტექტურა პირველ სახეს დაუბრუნდა. არა თუ დაუბრუნდა, არამედ ის გადაურჩა ნგრევას, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი კიდევ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ამაყად იდგება განათლებისა და ქართული მეცნიერების სამსახურში.

არ შეიძლება ჩვენი მადლიერება არ გამოვხატოთ არქიტექტორებისა და მშენებლების მიმართ, რომელთაც წარმატებით დაასრულეს ეს გრანდიოზული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პირველი კორპუსის რეაბილიტაცია დიდი საჩუქარია ჩვენი სტუდენტობისათვის. მათ საშუალება ექნებათ ნათელ აუდიტორიებში მოისმინონ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების ფუნდამენტური ლექციები, აუდიტორიებში, რომელთაც ამშვენებს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა გვარები. ეს დიდი ისტორიაა.

დავათვალიერე განახლებული კორპუსი და, სიმართლე გითხრათ, პირველად შევიგრძენი მისი სიდიადე და არაჩვეულებრივი დამამშვიდებელი აურა. ალბათ, ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ არქიტექტორებისა და მშენებლების მონაწილეობით სისტემატურად იხილებოდა კორპუსის განახლების პროექტის დეტალები აკადემიური საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს დონეზე რექტორის დავმჯდომარეობით, განხილვებისას იყო გარკვეული წინააღმდეგობებიც, რა თქმა უნდა, კეთილი სურვილებით, რამაც კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრა შენობის პირველადი სახით სრული აღდგენა. გაჩნდა ახალი კონსტრუქციებიც, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიებით შესანიშნავად შეერწყა თანამედროვე ინტერიერს.

დღეს დიდი გამარჯვების დღეა, გილოცავთ გამარჯვებას, ასე გამარჯვებული გვევლოს სულ, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ნუგზარ ალექსიძე,
პროფესორი, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული აკადემიის წევრი

რას წერდა პრესა ქართული უნივერსიტეტის გახსნაზე

პირველი გვერდიდან

კიდებულება ყველაზე კარგად იმდროინდელი პრესის ფურცლებმა შემოგვინახა. სიმბოლურია, რომ ამის შესწავლა და ფაქტების თავმოყრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ითავეს და პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის თაოსნობით მოპოვებული მასალები წიგნად აკინძეს.

წიგნის — „ქართული უნივერსიტეტის გახსნა“ პრეზენტაცია უნივერსიტეტის დაარსების 94-ე წლისთავზე, 8 თებერვალს, განახლებული პირველი კორპუსის შენობაში გაიმართა, სადაც მალხაზ მაცაბერიძემ და სტუდენტებმა კრებულის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

„როდესაც უნივერსიტეტი დაარსდა, მაშინდელი ქართული პრესა ამ ფაქტს პირველი გამოეხმაურა, თითქმის ყველა გაზეთში დაიბეჭდა ინფორმაცია და შეფასებები. ჩვენ მიერ შედგენილ ბროშურაში სწორედ იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებია თავმოყრილი. სტუდენტების ძალისხმევით და მონაწილეობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გასწიეს და თავი მოუყარეს მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს. მუშაობის პროცესში პრობლემებსაც გადავაწყდით — აღმოჩნდა, რომ იმ პერიოდის ქართული პრესა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება, უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია. გაზეთების დიდი ნაწილი განადგურებული და დაზიანებულია. შესაბამისად, ყველაფრის ასახვა შეუძლებელი გახდა. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ სხვა ბიბლიოთეკებშიც მოვნახავთ იმდროინდელ გაზეთებს და მომავალში უფრო მეტ მასალებს მოვიძიებთ“, — აღნიშნა მალხაზ მაცაბერიძემ.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, სტუდენტებმა ვალდებულება აიღეს, რომ კრებულზე მუშაობა გაგრძელდება და ახალ გამოცემას სრულყოფილი სახით მკითხველი ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს მიიღებს. მალხაზ მაცაბერიძის აზრით, ასევე საჭიროა იმდროინდელი რუსულენოვანი პრესის გაცნობა და ფოტო-მასალის მოძიება.

„მუშაობის პერიოდში შეკითხვაც გაგვიჩნდა: ნუთუ არც ერთი ფოტო არ არსებობს, რომელიც ამ დღის მოვლენას ასახავს? და თუ ასეთი ფოტო არსებობს, რატომ არ არის ჩვენთვის ცნობილი? შესაძლოა არსებობდა და განადგურდა... ამ კითხვებზე პასუხია გასაცემი. ასევე საინტერესოა რუსულენოვანი პრესის გაცნობაც. საზოგადოების გარკვეული ჯგუფი სკეპტიკურად უყურებდა უნივერსიტეტის დაარსებას და წინააღმდეგნიც კი იყვნენ, რომ საქართველოში ქართული უმაღლესი სასწავლებელი შექმნილიყო. ამ თემაზე სამუშაო კვლავ ბევრია და იმედია, სტუდენტებთან ერთად შევძლებთ ამ საშვილიშვილო საქმის ბოლომდე მიყვანას“, — განაცხადა მალხაზ მაცაბერიძემ.

1918 წლის ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებში მართლაც კარგად ჩანს ის სულისკვეთება, რაც იმდროინდელ საზოგადოებას ჰქონდა უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით. მაგალითად, გაზეთის „ხალხის მეგობარი“ 1918 წლის 18 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა გრიგოლ გველესიანის ვრცელი სტატია, სადაც ავტორი წერს: „ადვილი სათქმელია „ქართული უნივერსიტეტი!“ — ეს ხომ ჩვენი ოცნებათა და სანეტარო ზრახვათა შორის პირველთაგანი იყო! ერის კულტურული ზრდა-განვითარების უეჭველი მაჩვენებელია, აუცილებელი არგუმენტია. ეს ხომ, თუ გნებავთ, თვით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლების ერთგული მცველია! ეს ხომ იმის მაჩვენებელია, რომ კულტურის შემდეგ საფეხურზე შევდგით ფეხი, სადაც ჩვენი ეროვნულ-კულტურული მეობა მტკიცე ნიადაგზე მყარდება. ეს ხომ იმის მაჩვენებელია, რომ ქართველ ერს მისი კუთვნილი უზენაესი უფლება კვლავ დაბრუნებია და თავისი სვე-ბედის პატრონი თავადვე გამხდარა. მეცნიერების ტაძარი! — ქართული, პირველი, თავისუფალი, საქართველოს დედაქალაქში! რამდენს რას ეუბნება ეს სიტყვა ბედ-შავი ქართველი ადამიანის გულს მის მწარე წარსულით წარკვეთილ სულს, რომელიც მონობის მაგარ სალტეებით თითქოს სასიკვდილოდ იყო დაჭრილი“.

საზოგადოების დამოკიდებულება კარგად ჩანს სამსონ დადიანის პუბლიკაციაშიც, რომელიც გაზეთ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე დაიბეჭდა: „ჩვენში ზოგიერთი უვიცთა წყალობით ის აზრია გავრცელებული, ვითომ საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის მეოხებით დაადგა განათლების კულტურის გზას. ეს აზრი რომ სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს, იქიდანაც ჩანს, რომ ძველს რუსეთს, რუსეთის მტარვალ მთავრობას, რომელსაც არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობა და რომელმაც წლების განმავლობაში ველური ტყვეობიდან ვერ მოახერხა თვითონ რუსეთის გამოყვანა, რა შეიძლებოდა მიეცა სხვებისთვის. საქართველოში რუსეთის შემოსვლით და დამკვიდრებით საქართველო ასცდა იმ გზას, რომელიც მას უკვე არჩეული ჰქონდა და რომელიც მიმართული იყო ევროპისაკენ. ფრიად საგულისხმო და დამახასიათებელია, რომ ამ რევოლუციური ნგრევის დროს, როდესაც ჯერ ოდნავადაც არ შემაგრებულა ფუძე ახალი ცხოვრებისა, საქართველოში იხსნება ტაძარი მეცნიერებისა, საქართველოში იკრიბება ქართველ მეცნიერთა დასიც და ცდილობს გააღვივოს დაფერფლილი კერა მეცნიერებისა. საერთოდ, კავკასია და კერძოდ საქართველოს ტერიტორია სრულიად ხელუხლები და დაუშრეტელი წყაროა სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის და ქართველი ერი საუკეთესო მასალაა კულტურისა და ცივილიზაციის ასაყვავებლად. და აჰა, დღეს აქვე ერის შიგ გულში იდგმის მეცნიერების შუქმფენი ლამპარი, რომელიც ამიერიდან გზას გაუნათებს ერის აზროვნებას და შემოქმედებას. ბევრი ურწმუნო თვალით შეჰყურებდა ამ იდეას, ბევრი შეუძლებლად სცნობდა ამ იდეას, ბევრს ღიმილი მოსდიოდა — სად შეუძლია საქართველოს ასეთი რამ შეასრულოს, მაგრამ ამ იდეათა ენთუზიასტებმა თავისი გაიტანეს და დიადი სინამდვილის წინაშე დაგვაყენეს“.

საგულისხმოა, რომ ინტელიგენციის წარმომადგენლების გარდა, ქართული უნივერსიტეტის გახსნა უბრალო ადამიანებსაც ახარებდათ. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან იგზავნებოდა დეპეშები, სადაც მოქალაქეები თავიანთ პოზიციას აფიქსირებდნენ:

„სოხუმი — სოხუმის ფოსტა – ტელეგრაფის მომსახურენი, განურჩევლად ეროვნებისა, აღტაცებით ულოცავენ ქართველ ერს ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. გიგზავნით ფოსტით უნივერსიტეტის გასაძლიერებლად ხუთას მანეთს. მინდობილობით შალამბერიძე“...

„ხონი — ხონის ყველა სასწავლებელთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც შემოუერთდა მრავალი ხალხიც, გამოსთქვამს თავის აუწერელ სიხარულს ეროვნულ მეცნიერების ტაძრის გახსნის გამო და უსურვებს მას აყვავებას. მიტინგის თავმჯდომარე სერგო ბახტაძე“.

„ალექსანდროპოლი — გუმბრის ფოსტა – ტელეგრაფის ქართველი მოხელენი აღტაცებით ვეგებებით ქართული უნივერსიტეტის გახსნას ტფილისში. იმედი გვაქვს მოწინავე პირები ქართველი ერისა ენერგიულად გაუძღვება ამ დიად ეროვნულ საქმეს და ამით საბოლოოდ მოსპობს დაბრკოლებას, რომელსაც განიცდიან და გამოსცადეს ჩვენმა მოზარდმა თაობამ უცხო ქვეყნებში. ფონდის გასაძლიერებლად მომავალშიც შეძლებისდაგვარად დახმარება გავუწიოთ ამ დიად სანატრელ დაწესებულებას. (მოსეშვილი, ქორქია, გაბუნია, სიხარულიძე, ჯაფარიძე, ალიბეგაშვილი, კოჩიაშვილი, ცომაია, ზარიძე, ტაბატაძე, გაზეთი „ერთობა“ 28 იანვარი, 1918 წ, №22, გვ. 2).

საგულისხმოა, რომ გაზეთ „ალიონის“ 28 იანვრის ნომერში ასევე გამოქვეყნდა „ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა და ლექტორების შემადგენლობის შესახებ 1918 წლის პირველ სემესტრში“, გაზეთ „საქართველოში“ კი დაიბეჭდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლექციებისა და გეგმების შესახებ“ ვრცელი და სრული ინფორმაცია.

გამოცემული კრებულის მნიშვნელობაზე რექტორის მრჩეველმა მარინე ლომოურმაც გამოთქვა თავისი მოსაზრება: „ამ მასალების თავმოყრა და წიგნად გამოცემა შესანიშნავი იდეა იყო და სასიამოვნოა, რომ სტუდენტების ძალისხმევით ეს ჩანაფიქრი განხორციელდა. წიგნში ძალიან საინტერესო მასალაა თავმოყრილი, რომელიც ნათლად გადმოსცემს იმ ეპოქის განწყობას. მისი გაცნობა მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვისაც უნივერსიტეტი უყვარს და გააზრებული აქვს — რა მნიშვნელობა ჰქონდა მის დაარსებას ქართველი ხალხისთვის. სასიამოვნოდ გამაოცა იმ ფაქტმა, რა სიხარულს გამოხატავდა მთელი ერი — დიდი და პატარა, გლეხი თუ ინტელიგენტი — ყველა გრძნობდა, რომ საქართველოს ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა ხდებოდა. ჩემი აზრით, ეს დამოკიდებულება დღემდე თითოეულ ჩვენგანს მოჰყვება, რადგან ვგრძნობთ, რომ იგი უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი სასწავლებელი. მადლობა ყველას, ვინც ეს იდეა განახორციელა“, — აღნიშნა მარინე ლომოურმა.

კრებულის შედგენაზე, პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის ხელმძღვანელობით, ერთი თვის განმავლობაში იმუშავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებმა: ირაკლი ირემაძემ, ლევან ლორთქიფანიძემ, ქეთევან მურუსიძემ, თამუნა ნიკოლეიშვილმა და მეგი პაპიაშვილმა.

როგორც პრეზენტაციაზე ირაკლი ირემაძემ გვითხრა, მასალაზე მუშაობა თითოეული სტუდენტისთვის საინტერესო პროცესი იყო, რადგან „ერთი თვის მანძილზე „უშუალო მომსწრენი“ გავხდით, როგორ ხვდებოდა იმდროინდელი ქართული საზოგადოება ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც ქართული უნივერსიტეტის გახსნა იყო. მნიშვნელოვანია, რომ იმ დროს რამდენიმე პარტიის გაზეთი გამოდიოდა და მასალების გაცნობის საფუძველზე ისიც ცხადი გახდა, როგორ გამოხატავდა თითოეული პარტია თავიანთ პოზიციას. მთავარი კი ის არის, თუ როგორ შეხვდა ქართული საზოგადოება ამ მოვლენას“.

განახლებულ კრებულზე მუშაობას სტუდენტები უახლოეს მომავალში შეუდგებიან. „ამ ეტაპზე ბროშურის გამოცემას ვჩქარობდით, რადგან გვინდოდა, მისი პრეზენტაცია უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღისთვის დაგვემთხვია, თუმცა ჩვენი მიზანია, ამ თემასთან დაკავშირებით სამომავლოდ უფრო მეტი მასალა მოვიძიოთ და სრულყოფილი კრებული გამოვცეთ. იმედი გვაქვს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ხელს შეგვიწყობს ამ საშურ საქმეში“, — განაცხადა მალხაზ მაცაბერიძემ.

მოამზადა
შურთხია ბერეშვილმა

მოგონება

უნივერსიტეტში გატარებული ერთი დღე

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1943 წელს უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. იმავე წლის გაზაფხულზე — II სემესტრში ფსიქოლოგის განყოფილება გაიხსნა და ამ სპეციალობაზე გადავედი. IV კურსზე ყოფნის დროს დაგვეწყო ლექციები განწყობის ფსიქოლოგიაში. ამ საგანს განწყობის თეორიის ავტორი, ცნობილი მეცნიერი და ქართული უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებელი, აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე გვიკითხავდა. მან მხოლოდ ერთი ლექცია წაგვიკითხა და გამოგვიცხადა, რომ ჩვენ ამიერიდან ლექციების მაგივრად განწყობის ფსიქოლოგიაში სემინარები გვექნებოდა. ამ ლექციაზე დიმიტრი უზნაძემ განწყობის ზოგად-ფსიქოლოგიური თეორია დაალაგა. ეცადა და მოახერხა ჩვენთვის ეჩვენებინა ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის და მასთან დაკავშირებული ფსიქოფიზიკური პროცესების მეცნიერული ახსნა განწყობის თეორიის საფუძველზე. უზნაძის კონცეფციის თანახმად, ნათელი გახდა, რომ ადამიანის ფსიქოფიზიკური აქტივობა მხოლოდ ცნობიერი პროცესებით არ ამოიწურება. დადგინდა, რომ ადამიანის ქცევას ხშირად განწყობის საფუძველზე წარმართული არაცნობიერი ფსიქიკური პროცესები განსაზღვრავენ.

ლექციის შემდეგ ბატონმა დიმიტრიმ მომავალი სემინარებისთვის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოდან დავალება მოგვცა. ასე დაიწყო ჩვენი მეცადინეობა განწყობის ფსიქოლოგიაში. მე ძალიან დავინტერესდი განწყობის თეორიით და ამიტომ ყველაფერს ვკითხულობდი, რაც კი განწყობის ფსიქოლოგიას შეეხებოდა. ყოველი სემინარისთვის საგანგებოდ ვემზადებოდი და აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი მის მუშაობაში. ამ პროცესში იმის დასაბუთება ხდებოდა, რომ განწყობა არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენაა და ის გაუცნობიერებელი ფაქტორების შედეგად ყალიბდება. მე შევეკითხე ბატონ დიმიტრის, რატომ არ შეიძლება, რომ განწყობა გაუცნობიერებელი მოთხოვნილების მაგიერ გაცნობიერებული სურვილის, ემოციის საფუძველზე აღმოცენდეს. ბატონმა დიმიტრიმ აგვიხსნა, რომ სურვილებსა და ემოციებს საფუძვლად უკვე გარკვეული განწყობა უდევს. ამ განწყობის ნიშანს ცნობიერება არ წარმოადგენს.

ამ საკითხზე ჩვენმა ჯგუფმა ვრცლად ვიმსჯელეთ, თუმცა უკმარისობის გრძნობა მაინც დამრჩა. სემინარის დამთავრების შემდეგ სახლისკენ მიმავალმა პროფესორმა მთხოვა მას გავყოლოდი. გზაში მითხრა, რომ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ფსიქოლოგიის ინსტიტუტში (რომლის დამაარსებელი და დირექტორი ბატონი დიმიტრი იყო) ყოველ ოთხშაბათს ტარდებოდა სამეცნიერო სხდომები და ამ ცნობილ „ოთხშაბათობებზე“ დასასწრებად მიმიწვია.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ის დღე იყო ჩემთვის ერთერთი გამორჩეული და ბედნიერი დღე უნივერსიტეტში.

ზოთა ნადირაშვილი,
აკადემიკოსი,
14.06.2011

„აღთქმულ მიწაზე" დაბრუნებულნი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, პირველი ქართველი არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის მიერ 1918 წელს აგებულ შენობას საფუძვლიანი რესტავრაცია ჩაუტარდა — გაუმაგრდა საძირკველი, შეკეთდა სახურავი, გარემონტდა აუდიტორიები, მოიხსნა შენობის შიგნით არსებული ტიხრები და, შედეგად, ქართული არქიტექტურის ყველაზე თვალსაჩინო ისტორიული ძეგლის შიდა ნაწილს პირვანდელი სახე დაუბრუნდა. შეიცვალა მხოლოდ ნულოვან სართულზე არსებული ბიბლიოთეკა, რომლის ინტერიერიც თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გადაკეთდა.

ნატო ოგოლაძე

„თსუ-ის პირველ კორპუსში უკვე გადმოვიდა ადმინისტრაციის პრაქტიკულად ყველა დეპარტამენტი. 2012 წლის საგაზაფხულო სემესტრიდან კი აქ ლექციები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს ჩაუტარდებათ. აუდიტორიების აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკის ნაწილი ჯგუფმა „ქართუმ" გადმოგვცა. ერთადერთი, რაც შენობის რეკონსტრუქციისას შეიცვალა, ეს კარ-ფანჯრებია, რადგან მათი რესტავრაცია ვერ მოხერხდა და ხის ფერის, მაღალი ხარისხის მეტალოპლასტმასის ფაქტურისგან ახალი დამზადდა", — განაცხადა თსუ-ის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ტალახაძემ.

თსუ-ის პირველ კორპუსში დაბრუნდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ეს პირველი ქართული უნივერსიტეტის ტრადიციის ნაწილია — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ქართული უნივერსიტეტის პირველი ფაკულტეტის — სიბრძნისმეტყველების მემკვიდრეა და, შესაბამისად, დაარსების დღიდან ამ შენობაში ლექციები სწორედ ამ სპეციალობის სტუდენტებს უტარდებოდათ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურა პირველ კორპუსში გადასვლას „აღთქმულ მიწაზე" დაბრუნებასაც კი ადარებს.

„პირველ კორპუსში გადასვლა ჩვენი ფაკულტეტისათვის „აღთქმულ მიწაზე" დაბრუნებას ჰგავს. სამი წელი გავიდა უკვე, რაც სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო ჩვეული აკადემიური სივრცე დავტოვეთ და სასწავლო პროცესი თსუ-ის V და VIII კორპუსებში განვაგრძეთ. აქ ცუდად არ ვგრძნობდით თავს, მაგრამ მაინც დროებით საცხოვრებელში ყოფნის განცდა გვქონდა. ახლა სასიხარულო მომენტია, პირველ კორპუსში ვბრუნდებით, სადაც არაჩვეულებრივად მოწყობილ აუდიტორიებს გვახვედრებენ. ყველაზე მეტად კი ის ფაქტი გვახარებს, რომ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით აღჭურვილ ბიბლიოთეკას გვახვედრებენ, სადაც, ძირითადად, ჰუმანიტარული და სოციალური პროფილის წიგნები იქნება წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ეს არა მარტო გააადვილებს სწავლის პროცესს, არამედ სტუდენტებისთვის უფრო სასიამოვნოსა და სახალისოსაც გახდის. რამდენიმე დღის წინ პირველ კორპუსში სტუდენტები შემხვდნენ, რომლებიც შენობას ათვალიერებდნენ. მათაც ისე უხარიათ იქ სასწავლო პროცესის განახლება, როგორც ჩვენ. შენობის ფართი საშუალებას გვაძლევს, რომ ერთდროულად ლექციები დაახლოებით 1500 სტუდენტს ჩაუტარდეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. თან გაზაფხულიც მოდის, პირველ კორპუსსა და მის გარეთ არსებული სივრცე ისევ შეივსება ახალგაზრდებით და ამ წლების მანძილზე მეტ-ნაკლებად მიძინებული ეს უბანი ისევ გამოცოცხლდება," — გვითხრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.

პირველი კორპუსის გახსნამ სტუდენტებს საგაზაფხულო არდადეგების მალე დასრულების სურვილიც კი გაუჩინა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I, II და III კურსის ბაკალავრებს უნივერსიტეტში ჩაბარება სწორედ იმ დროს მოუწიათ, როდესაც თსუ-ის მთავარ კორპუსში სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობდა. IV კურსის სტუდენტებმა კი აქ მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლეს.

— გვინდა მალე დაიწყოს სწავლა, რადგან თსუ-ის პირველ კორპუსში ყველაზე უკეთ ვგრძნობთ იმას, რომ ვსწავლობთ უნივერსიტეტში. იქ განსხვავებულად სასიამოვნო გარემოა.

— მხოლოდ ორი თვე გვიტარდებოდა პირველ კორპუსში ლექციები, ახლა გამოდის, რომ ბოლო სემესტრშიც მანდ ვისწავლით, რაც ძალიან გვახარებს.

— გვაინტერესებს როგორი იქნება ბიბლიოთეკა, წიგნების მოძიება ჩვენთვის ყოველთვის პრობლემა იყო.

ასეთია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ სტუდენტების განწყობა და მოლოდინი, რომლებიც ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზე სწავლობენ და რომლებსაც ჩვენ თსუ-ის V კორპუსის ფოიეში შევხვდით.

როგორი გარემო დახვდებათ სტუდენტებს თსუ-ის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში, ამის გასარკვევად ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ზურაბ გაიპარაშვილს მივმართეთ.

„ჩვენ გვექნება ორი სამკითხველო დარბაზი — ერთი შოთა რუსთაველის, მეორე კი მარო მაყაშვილის სახელობის. აქვე მკითხველებს შეეძლებათ ისარგებლონ კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი რესურსცენტრით. პირველი კორპუსის ბიბლიოთეკა ერთდროულად 300-მდე მკითხველს მოემსახურება. ჩვენი კარი ღია იქნება პროფესორებისთვის, სტუდენტებისთვის და გარეშე პირებისთვისაც — ეს ყოველთვის ასე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გვექნება ღია დაშვების დარბაზი, ნახევრად ღია და იქნება, ასევე, დაცული სექტორი, სადაც მომხმარებლები მხოლოდ ბიბლიოთეკარის თანხლებით შევლენ. სტუდენტებს თსუ-ის ბიბლიოთეკის ცენტრალური შენობიდანაც შეეძლებათ წიგნების გამოწერა. პირველ კორპუსში 120 000 წიგნი გვექნება, თუმცა ბიბლიოთეკა გაცილებით მდიდარ ფონდს ფლობს. აქ, ძირითადად, იმ პროფილის ლიტერატურა განთავსდება, რა მიმართულების პროგრამებსაც ეუფლებიან სტუდენტები პირველ და მის მეზობელ კორპუსებში. ბუნებრივია, II კორპუსში იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას განაგრძობს და ჩვენ კვლავ ხელს შევუწყობთ, რომ იქ არსებული წიგნების ფონდი გაიზარდოს", — განაცხადა ზურაბ გაიპარაშვილმა.

თსუ-ის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში ქსეროქსის აპარატებიც განთავსდება, სადაც, საქართველოში პირველად, თვითმომსახურება იქნება. მომხმარებელი სპეციალურ ბარათს მიიღებს და თანხის ჩატვირთვის შემდეგ ქსეროქსის აპარატის ამუშავება და სასურველი ლიტერატურის ასლის გადაღება შეეძლება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი რენესანსული არქიტექტურის მოტივებზეა აგებული. იგი თბილისის ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა განსაკუთრებულ დატვირთვას მას ის ისტორია ანიჭებს, რომელიც უნივერსიტეტის კედლებში თითქმის საუკუნის მანძილზე იწერებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებლების, მათი მოწაფეებისა და მომდევნო თაობების მიერ. სწორედ ამ ისტორიის გაცოცხლებას გეგმავენ თსუ-ის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში.

„პირველ კორპუსში თსუ-ის მუზეუმის ადმინისტრაცია მე-3 სართულზე 3 ოთახში განთავსდება. ერთერთ მათგანში ისტორიისა და გეოგრაფიის ფონდის საცავი იქნება. გვექნება საგამოფენო დარბაზი, სადაც მთელი ოთახის პერიმეტრზე გერმანული ტიპის საკიდები გავაკეთეთ. აქ ჩვენთან დაცული თითქმის ყველა სახვითი ხელოვნების ნიმუშები ჩამოიკიდება. ამავე დარბაზში პერიოდულად მოეწყობა ამა თუ იმ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებული გამოფენები. მუზეუმის დაქვემდებარებაშია გუმბათქვეშა სივრცის ორივე სართული. პირველ სართულზე გამოიფინება ივანე ჯავახიშვილის, სხვა დამფუძნებლებისა და მათი მოწაფეების ფოტოები და მემორიალური ნივთები. ეს იქნება მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. რაც შეეხება გუმბათქვეშა სივრცის მეორე ნაწილს, აქ უნივერსიტეტის დაარსებიდან არქეოლოგიის კათედრა იყო განთავსებული. შესაბამისად აქ არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალები და საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმიდან მიღებული გარკვეული სახის კოლექციის ნაწილი გამოიფინება. ექსპონატები თანამედროვე ტიპის ვიტრინებში განთავსდება. დარბაზებში სპეციალური მონიტორებიც დამონტაჟდება, რისი საშუალებითაც მნახველები გამოფენილი ნივთების შესახებ დამატებით ინფორმაციასაც მიიღებენ", — განაცხადა თსუ-ის მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ.

თსუ-ის სამუზეუმო ექსპონატების დათვალიერება სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა თუ მოწვეულ სტუმრებს საგაზაფხულო სემესტრის დაწყების შემდეგ შეეძლებათ.

თსუ-ის პირველი კორპუსის გახსნას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუდენტები ამაღლებული განწყობით შეხვდნენ. უნდა ითქვას, რომ სამწლიანი პაუზის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსს ახალი „სიცოცხლე დაუბრუნდა".

რედაქტორის მინაწერი: ამ განწყობას ჩვენც, უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციაც ვიზიარებთ და გულისტკივილით აღვნიშნავთ იმ „გაუგებარ" ფაქტს, რომ ისტორიული სამართლიანობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყველა დეპარტამენტისთვის და იმ ფაკულტეტისთვის აღდგა, რომლებიც მუდამ პირველ კორპუსში ფუნქციონირებდა, მაგრამ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქცია ამ კონტექსტში ვერ „ჩაჯდა". რედაქცია, რომელსაც გაზეთის დაარსების დღიდან (1927 წ.) უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 2 ოთახი ჰქონდა ტრადიციულად დათმობილი, დღეს კვლავ მესამე კორპუსში შეხიზნული რჩება. — რატომ? — ამ კითხვაზე ნებისმიერი ლოგიკით გაცემული პასუხი ჩვენთვის მაინც მტკივნეული დარჩება, რადგან უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სიდიადე, მინიმუმ, ჩვენს შემოქმედებით განწყობაზე მართლაც აისახებოდა.

სანახაობა ზოოლოგიურ მუზეუმში

მეორე გვერდიდან

ფონდში დაცულია იშვიათი სახეობის თევზები: ზღარბთევზა, მფრინავი თევზი, მთვარა-თევზი, ხერხთევზა, მუცელეკლიანა, შავი ზღვის ზვიგენი და სხვა. აქვე არის მოლუსკები, ამფიბიები, კიბოსნაირები, ობობები, ქვეწარმავლები – მათ შორის ვარანი, ნილოსის ნიანგი, კაიმანი, პითონი, მწვანე კუ და სხვა. მუზეუმში წარმოდგენილი ფრინველთა კოლექცია მოიცავს როგორც ტროპიკულ, ისე საქართველოში მობინადრე და გადამფრენ ფრინველთა სახეობას, რომელთა უმრავლესობა შეტანილია, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო „წითელ წიგნში", მაგალითად: ბატკანძერი, ბექობის არწივი, სავათი, სარსარაკი, კავკასიური როჭო, სვავი, ორბი, ყანჩა, მყივანი გედი, სირიული კოდალა, ბოლოცეცხლა, კავკასიური კოჭობა, ღაჟო, ასპუჭაკა, წიწკანა და სხვა. აქვე დაცულია ამ ფრინველთა კვერცხების კოლექციაც, რომელიც 1560 ეგზემპლარისაგან შედგება და ცხრა ვიტრინაშია განლაგებული.

შთამბეჭდავია ჟირაფის, გარეული ტახის, ირმის, შვლის, მფრინავი მელიის (ღამურის), ჩანთოსანი ვირთაგვის, გარეული კატების, მაჩვის, მაჩვზღარბას, მელიების, ტურის, ჭრელტყავას, დედოფალას, ციყვების, კურდღლების, იხვნისკარტას, ჯავშნოსანის, ჰამადრილის, მაკაკასა და სხვათა ფიტულები.

საინტერესოა ჩონჩხების კოლექციაც, მათ შორის: ლომების, ზოლებიანი აფთრის, კენგურუს, სელაპის, ტურის, მაიმუნის, ჭიანჭველაჭამიასა და სხვა.

ლამაზი სანახავია კეთილშობილი ირმის, ჯიხვების, ნიამორის, ანტილოპას, ლოსის, გარეული კამეჩის, მარტორქისა და ქურციკის რქები.

მნახველებში დიდ ინტერესს იწვევს ცისფერი ვეშაპის ულვაში და ხერხთევზას რუსტრუმი (დინგი).

ექსპოზიცია მდიდარია სველი პრეპარატებითაც (1000-მდე ეგზემპლიარი) – მინის ჭურჭელში სპირტიან ან ფორმალინიან ხსნარში შენახულია სხვადასხვა ცხოველის შინაგანი ორგანოების, სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მომნელებელი, ნერვული სისტემის აგებულების ამსახველი მასალა.

2010-2011 წლებში ზოოლოგიური მუზეუმის დარბაზი გარემონტდა და მოძველებული კარადები თანამედროვე სადემონსტრაციო კარადებით შეიცვალა, რომლებმაც სამუზეუმო ექსპონატები უკეთ წარმოაჩინა. ამავე პერიოდში, რესტავრატორების დახმარებით, განახლდა ბევრი ფიტული – მათ შორის ჟირაფის, მთვარა-თევზის, მფრინავი თევზის. ენტომოლოგიური და მალაკოლოგიური კოლექციები, სველი პრეპარატები და სხვ. შეიცვალა მუზეუმის დიზაინიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორის მაია გურაბანიძის ინფორმაციით, დროთა განმავლობაში მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები დაზიანდა, რემონტს საჭიროებდა საგამოფენო სივრცეც, სადაც მუზეუმია განთავსებული. 2010-2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის მუზეუმს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სარემონტო და სარესტავრაციო სამუშაოები ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამჟამად მუზეუმის ექსპოზიციაში 5000-ზე მეტი განახლებული ექსპონატია წარმოდგენილი, რომელიც ახალ ვიტრინებშია განთავსებული.

აღსანიშნავია, რომ გამოფენილ ნიმუშებს რესტავრაცია 1945 წლის შემდეგ პირველად ჩაუტარდა. მუზეუმის გხსნის საზეიმო ცერემონიალზე დიმიტრი შაშკინმა მუზეუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ აქ დაცულ ექსპონატებს სხვა დამთვალიერებლებთან ერთად, სკოლის მოსწავლეებიც გაეცნობიან, რაც ხელს შეუწყობს მათ დაინტერესებას საბუნებისმეტყველო დარგებისადმი. მუზეუმის თანამშრომლები, საგანგებოდ მოზარდებზე გათვლილი პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეებს შემეცნებით ექსკურსიებს შესთავაზებენ და ამით ისინიც შეუწყობენ ხელს მათი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, „ზოოლოგიური მუზეუმი ერთერთი უნიკალური და უმდიდრესია სამხრეთ კავკასიაში. აქ გამოფენილი უნიკალური მასალა საინტერესოა არა მხოლოდ დამთვალიერებლებისთვის, არამედ მნიშვნელოვანია სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისთვისაც. მუზეუმში სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდება ღია გაკვეთილები, რაც ხელს შეუწყობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით ახალგაზრდობის დაინტერესებას."

ახლად გახსნილ მუზეუმში ექსკურსია ჩაუტარდათ თბილისის 122-ე და 151-ე სკოლების მოსწავლეებს, რომლებსაც, იმედია, ზოოლოგიური მუზეუმის დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილება დიდხანს გაჰყვებათ.

გამოცდის შეფასება თითქმის არ იცვლება

უნივერსიტეტში სემესტრული გამოცდები დასრულდა. თსუ-ის საგამოცდო ცენტრმა, დაახლოებით, 81 000 სტუდენტს გაუწია მომსახურება და სემესტრული გამოცდების უმეტესობა ჩაიბარა.

რა სიახლეები შესთავაზა ცენტრმა სტუდენტებს და როგორია მათ მიერ გამოვლენილი ცოდნის დონე, ამ საკითხებზე გვესაუბრება თსუ-ის საგამოცდო ცენტრის უფროსი თეა იმედაძე*:*

თეა იმედაძე

მაია ტორაძე

— ქალბატონო თეა, როგორ მიმდინარეობს გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რა შედეგებით დაასრულეს სტუდენტებმა შემოდგომის სემესტრი?

— წელს გამოცდები ძალიან მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს და პირველი წელია, რაც სტუდენტებისგან საორგანიზაციო საკითხებზე საჩივრები, ფაქტობრივად, არ არის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აქამდე სემესტრულ გამოცდებზე, დაახლოებით, 60 000 სტუდენტს ემსახურებოდა, დღეისათვის კი 81 000 სტუდენტს ემსახურება (ბაკალავრიატში სულ 17 000 სტუდენტია. სასესიო პერიოდში თითოეულ სტუდენტს რამდენიმე გამოცდის ჩაბარება უწევს. აქედან გამომდინარე, საგამოცდო ცენტრი დღეში 30-40 გამოცდას იბარებს, რაც საერთი ჯამში დღეში 3 300 სტუდენტია, ხოლო საერთო მაჩვენებლით — 81 000 სტუდენტი). ეს იმხელა მაჩვენებელია, რომ ზოგიერთი გამოცდის II კორპუსში ჩატარებამაც მოგვინია.

საგულისხმოა, რომ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა არა მარტო საგამოცდო ცენტრში ჩასაბარებელი საგნების ხარჯზე, არამედ უნივერსიტეტის სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გამოც.

ამ დროისათვის ჩვენთან ჩაბარებული გამოცდები სრულად მოიცავს ჰუმანიტარულ და იურიდიულ ფაკულტეტებს, გარდა საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებისა. ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე 11 საგანში გამოცდა კომპიუტერის მეშვეობით ელექტრონულ რეჟიმში ტარდება, ხოლო ყველა სხვა საგანი ჩვენთან ბარდება.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე ცოტა განსხვავებული სიტუაციაა: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცდების 30 პროცენტს, ხოლო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცდების დაახლოებით 60 პროცენტს ჩვენ ვატარებთ. რაც შეეხება მედიცინის ფაკულტეტს, აქ სწავლების განსხვავებული მეთოდიკაა. ისინი გვთავაზობენ კურაციულ რეჟიმს და ამის გამო ჩვენ მთელი სემესტრის მანძილზე ვატარებთ მათთან გამოცდებს. საბოლოო ჯამში ეს გამოცდების 98%-ია.

შემოდგომის სემესტრის გამოცდების შედეგების დიდი ნაწილი სტუდენტთათვის უკვე ცნობილია. ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში განვათავსოთ შეფასებები ელექტრონულ უწყისებში და ასეთივე ვადებში განვიხილოთ აპელაციები. როგორც ვიცი, საერთო სურათი დამაკმაყოფილებელია და სემესტრული გამოცდები სტუდენტთა დიდმა ნაწილმა წარმატებით ჩააბარა.

— რა სიახლე შესთავაზა წელს საგამოცდო ცენტრმა უნივერსიტეტის სტუდენტებს?

— სიახლე ისაა, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე (გარდა საერთაშორისო სამართლის მიმართულებისა) აქამდე საგამოცდო ცენტრში ბარდებოდა ერთი შუალედური გამოცდა (კოლოკვიუმი). წელს ორივე კოლოკვიუმი და საბოლოო გამოცდა სრულად ცენტრმა ჩაატარა.

საგამოცდო ცენტრში, ასევე, წელს პირველად ჩატარდა მაგისტრატურის საფეხურის გამოცდების გარკვეული ნაწილი.

— რამდენი ადამიანი ემსახურება გამოცდების ორგანიზებას?

— საგამოცდო ცენტრში მუშაობს 14 ადამიანი, ეს არის ძირითადი ბირთვი, რომელიც საორგანიზაციო სამუშაოებს ატარებს. გვყავს ასევე 72 დამკვირვებელი და 4 ოპერატორი, რომლებსაც საგამოცდო ნიშნები გადააქვს ელექტრონულ უწყისში, ასევე 4 თანამშრომელი, რომელიც აპელაციის პროცედურას ახორციელებს.

— როგორ ხდება ნამუშევრების გასწორება და რა შედეგებით სრულდება სტუდენტთა აპელაციები — არის შემთხვევები, როცა მათი შეფასება მნიშვნელოვნად იცვლება?

— სტუდენტთა საგამოცდო ნამუშევრების დიდ ნაწილს უშუალოდ პედაგოგები ასწორებენ, ნაწილს კი, მიმართულება თავად წყვეტს, ვინ გაასწორებს. აღნიშნულ საკითხში საგამოცდო ცენტრი არ ერევა.

გასწორებული ნამუშევრები დალუქული წესით ბრუნდება საგამოცდო ცენტრში, სადაც ხდება მათი დეშიფრაცია და შეფასებების ელექტრონულ უწყისში აღრიცხვა.

თუ სტუდენტს სურს, ნახოს ნაშრომი, ან გაასაჩივროს შედეგი, ის ელექტრონულადვე მოგვმართავს. სტუდენტი ამას აკეთებს პირადი ბარათის მეშვეობით. მას არ სჭირდება არც განცხადების წერა, არც რიგში დგომა და დროის კარგვა. ეს ძალიან კარგი სიახლეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი სტუდენტი ამ მეთოდით ჯერ კიდევ არ სარგებლობს...

სააპელაციო განცხადება ბევრია — დღეში დაახლოებით 500-დან 600-მდე, მაგრამ ამათგან დიდი ნაწილი ნაშრომის გაცნობის მსურველია, ნაწილი კი, სტუდენტის მოთხოვნისამებრ, ხელახლა გასასწორებლად იგზავნება. რა თქმა უნდა, შეფასების შეცვლის შემთხვევები არის, მაგრამ ძირითადად მაინც იგივე შეფასება რჩება...

— რა პირობებში უხდებათ სტუდენტებს გამოცდის ჩაბარება? დამკვირვებლების მიმართ მათი პრეტენზიები ხშირად ისმის. ამბობენ, რომ ისინი უხეშობენ, უსამართლოდ ექცევიან და ა.შ

— პირობები, წინა წლებთან შედარებით, ძალიან კარგია. ზამთარში ძირითადად უკმაყოფილება იყო გათბობასთან დაკავშირებით. წელს დამატებით დავამონტაჟეთ გამათბობლები და ამიტომ, ამ მხრივ, პრეტენზიები არ გამოთქმულა.

უკმაყოფილებას იწვევდა ასევე გაჭიანურებული წინასაგამოცდო რეგისტრაცია. ახლა ამ პრეტენზიასაც ვეღარ მივიღებთ, რადგანაც სარეგისტრაციო უწყისები უკვე ელექტრონულად არის განთავსებული ვებ-გვერდზე. სტუდენტს შეუძლია გამოცდის წინა დღეს ელექტრონული ფორმით მოიძიოს საგამოცდო სექტორისა და ადგილის ნომერი. ამ ფორმით სტუდენტების ნაწილი უკვე სარგებლობს და ეს შეეტყო კიდეც რეგისტრაციის რიგებს, ნაწილს კი ურჩევნია ისევ ადგილზე გაიგოს გამოცდის ჩაბარების ადგილის შესახებ.

რაც შეეხება დამკვირვებლებს, მინდა გითხრათ, რომ, რაც ჩვენ ამ პროცესს ვაკვირდებით, ასეთი რამ არ შემიმჩნევია. პირიქით, ჩვენი აზრით, დამკვირვებლები ზოგჯერ ლოიალურნიც კი არიან. საქმე ისაა, რომ სტუდენტს პრეტენზიით უსაფუძვლოდ არავინ მიმართავს. წინააღმდეგობები იწყება მას შემდეგ, რაც დამკვირვებელი სტუდენტს სთხოვს, ჩააბაროს მობილური ტელეფონი, მოიხსნას ყურსასმენები, ან არ ისარგებლოს ე.წ. „შპარგალკით“... როცა მათ სთხოვენ და დამკვირვებლის თხოვნას არ ემორჩილებიან, იწყება გაღიზიანება. ჩვენ ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად კორექტულები ვიყოთ, ოღონდ ასევე კორექტულები უნდა იყვნენ სტუდენტებიც.

ამგვარი პრეტენზიებით სტუდენტები სტუდენტურ თვითმმართველობაშიც მივიდნენ და ამის გამო წინა სემესტრებში თვითმმართველობა აკვირდებოდა არა სტუდენტს, არამედ თავად დამკვირვებლებს. მათაც განაცხადეს, რომ არც ერთ შემთხვევაში დამკვირვებელს უფლებისთვის არ გადაუმეტებია.

დღესდღეობით ჩვენს საქმიანობას აკვირდება შიდა აუდიტი, რომლის დასკვნაც ძალიან საინტერესო იქნება ჩვენთვის. ასე რომ, საგამოცდო ცენტრის მიმართ ამგვარი პრეტენზიები ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება.

სტუდენტური გამოკითხვა

სტუდენტური არდადეგები გამოცდების ციებ-ცხელების შემდეგ

სტუდენტობა... წლები, როცა ცხოვრებასთან პირისპირ გადიხარ ასპარეზზე, გსურს და ცდილობ წარმატებული იყო, რომლისთვისაც შრომა, სურვილი და ძალისხმევაა საჭირო. ყოველი სემესტრის დაწყებას ახალი ძალებით, ახალი მისწრაფებებით ხვდები, რადგან მშობლების ხშირად ნათქვამი სიტყვები – „სტუდენტობის წლები საუკეთესოა“, – უმეტეს შემთხვევაში ამართლებს და შენც გიხარია ეს... თუმცა, სემესტრი დასასრულს რომ უახლოვდება, მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ დაღლას, რადგან წინ გამოცდებია და მანამდე დაგროვილი მასალა სწავლას (ზოგიერთ შემთხვევაში კი „შპარგალკისთვის“ მომზადებას) ითხოვს... ეს ის პერიოდია, როცა ჩვენი თითქმის ყოველი მეორე წინადადებაა: „ეჰ, როდის დავისვენებთ“, „ეს არდადეგებიც რომ არ მოვიდა“... როგორც იქნა, სააუდიტორიო მეცადინეობები დამთავრდა და გამოცდების ციებ-ცხელებაში ჩაერთო ყველა, თუმცა, მე უფრო „ციებას“ ვიტყოდი, მაღლივში „ცხელება“ ნაკლებად თუ იგრძნობა... აი, ბოლო გამოცდაც „მოვიშორეთ“ და წინ არდადეგებია — პერიოდი, რომლის დადგომაზეც სემესტრის დასაწყისიდან დასასრულამდე ვფიქრობთ... შედეგების გაგებამდე საკმარისი დრო გვაქვს იმაზე ფიქრისათვის, თუ სად სჯობს დასვენება, როგორ გავატაროთ არდადეგები, როგორ ვისიამოვნოთ თავისუფალი დროით – ასე ნანატრი დროით...

პირადად მე, ჩემს მშობლიურ ქალაქში – ზესტაფონში გავატარებ არდადეგებს ჩემთვის ძვირფას და მონატრებულ ადამიანებთან ერთად. უკვე დაგეგმილიც კი მაქვს, თუ როგორი იქნება ჩემი თითოეული დღე. პირველ რიგში, ალბათ როგორც ყველა, სასურველ დრომდე დიდ ხანს ძილს ვაპირებ, დღის გარკვეულ ნაწილს კითხვას დავუთმობ, რადგან სწავლის დროს წასაკითხი წიგნების სია ყოველდღე „იბერება“. ჩემთვის საყვარელ „საქმიანობას“ – ცეკვას დავუთმობ დიდ დროს, ვიცეკვებ დაღლამდე, ბოლო ამოსუნთქვამდე... თავისუფალი დრო, ანუ დრო, რომელიც ისე შემიძლია გამოვიყენო, როგორც მინდა, იმაზე მეტი მექნება, რამდენიც სასიამოვნო დასვენებისთვის სრულიად საკმარისია. ვისურვებ, რომ გავერთო მეგობრებთან ერთად და როგორი ფორმით იქნება ეს — დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ჩემთვის სასიამოვნო გარემო იყოს და დავისვენო ისე, როგორც სტუდენტი „იმსახურებს“...

მაინტერესებდა, თუ სად აპირებდნენ სტუდენტები დასვენებას არდადეგებზე, როგორ გაატარებდნენ თავისუფალ დროს და, საერთოდ, მათი აზრით, რას ნიშნავს თავისუფალი დრო. საბედნიეროდ, XXI საუკუნეში გამოკითხვის მრავალი საშუალება თუ ფორმა არსებობს. მეც შანსი არ გავუშვი ხელიდან და გთავაზობთ ჩემი ჟურნალისტობის მცდელობის შედეგებს. გამოკითხული სტუდენტებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგი მშობლიურ ქალაქში, ზოგი კურორტზე, ზოგიც კი თბილისში აპირებს არდადეგების გატარებას.

მარი სამხარაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსელი

— სად აპირებთ დასვენებას?

— არსად არ მივდივარ, თბილისში ვრჩები.

— როგორ ატარებთ არდადეგებს?

— კომპიუტერი, კითხვა, ძილი, სეირნობა...

— რას აკეთებთ დასვენების დროს?

— დიდ ხანს მძინავს. რაც მომივა თავში, იმას ვაკეთებ — ეს არის თავისუფალი დროის პლუსი.

— რას ნიშნავს თქვენთვის თავისუფალი დრო?

— როცა მოქმედებების წინასწარ დაგეგმვა არ მჭირდება და როცა რასაც, როგორც და სადაც მინდა, იმას ვაკეთებ.

— როგორ გართობას ისურვებთ?

— ყველანაირი გართობა მიყვარს, იქნება ეს სხვადასხვა სახის თამაშები, სპორტული თუ ინტელექტუალური, დალევა თუ ლაშქრობა, აბსოლუტურად ყველანაირი.

ლევან ლორთქიფანიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსელი

— სად აპირებთ დასვენებას?

— სახლში, ძირითადად. ერთი კვირით, ალბათ, მეგობარს ვეწვევი აგარაკზე.

— როგორ ატარებთ არდადეგებს?

— უფრო ხშირად ვხვდები მეგობრებს და ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესო წიგნებს ვკითხულობ, დიდ ხანს მძინავს.

— რას აკეთებთ დასვენების დროს?

— ვკითხულობ, დილით დავრბივარ (თუ ჩემს ძუნძულს ეს სახელი ჰქვია), მეგობრებს და დიდი ხნის უნახავ ადამიანებს ვნახულობ.

— რას ნიშნავს თქვენთვის თავისუფალი დრო?

— ვაკეთო ის, რაც მეხალისება, სასურველად მიმაჩნია და არა ის, რასაც მაიძულებენ.

— როგორ გართობას ისურვებთ?

— მოგზაურობას, სალაშქროდ წასვლას.

შალვა აბაშიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსელი

— სად აპირებთ დასვენებას?

— ბათუმში.

— როგორ აპირებთ არდადეგების გატარებას?

— ზღვის პირას ტანგოს ვიცეკვებ.

— რას აკეთებთ დასვენების დროს?

— მეგობრებთან ვქეიფობ ქალაქგარეთ, ბუნებაში...

— რას ნიშნავს თქვენთვის თავისუფალი დრო?

— კარგ ძილს ღამით.

— როგორ გართობას ისურვებთ?

— მთავარია მეგობრებთან ერთად ვიყო და გართობის ფორმას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

თაკო კაპანაძე, ***იურიდიული ფაკულტეტის II კურსელი:***

— სად აპირებთ დასვენებას?

— რამდენიმე დღით მეგობრებთან ერთად ბაკურიანში წავალ, ალბათ.

— როგორ ატარებთ არდადეგებს?

— მხიარულად, მეგობრების და ოჯახის წევრების გარემოში.

— რას აკეთებთ დასვენების დროს?

— ვკითხულობ წიგნებს, გავდივარ ქალაქგარეთ, ვერთობი მეგობრებთან ერთად, ვცდილობ განვიტვირთო.

— რას ნიშნავს თქვენთვის თავისუფალი დრო?

— დროს, რომელიც შემიძლია სურვილისამებრ დავგეგმო და გავატარო.

— როგორ გართობას ისურვებთ?

— ჩემთვის სასურველი გარემო გამოიხატება მყუდრო გარემოში, მეგობრების ახლო წრესთან ერთად, მე ასეთ გართობას ვანიჭებ უპირატესობას, ანუ შედარებით პასიურს.

დავით ჩაგანავა, ***ისტორიის ფაკულტეტიის II კურსელი:***

— სად აპირებთ დასვენებას?

— ჩემი ფინანსებიდან გამომდინარე არსად. თუ მშობლებმა დამაფინანსეს, გუდაურში სიამოვნებით დავისვენებდი.

— როგორ ატარებთ არდადეგებს?

— მეგობრებთან ერთად ვატარებ ძირითადად არდადეგებს, ვერთობი, ვმხიარულობ და ა.შ.

— რას აკეთებთ დასვენების დროს?

— ბევრ რამეს. ზაფხულში ვთევზაობ, მდინარეზე დავდივარ. მიზიდავს ასეთი რაღაცები.

— რას ნიშნავს თქვენთვის თავისუფალი დრო?

— როდესაც არაფერს არ ვაკეთებ.

— როგორ გართობას ისურვებთ?

— ქეიფს.

მარი ლელაძე, ***ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსიელი:***

— სად აპირებთ დასვენებას?

— ვერ ვისვენებ, სტაჟირება მაქვს. 1 კვირა მექნება თავისუფალი და ბაკურიანში წავალ, ალბათ.

— როგორ ატარებთ არდადეგებს?

— ნათესავებს ვსტუმრობ, ოჯახთან ერთად კურორტზე დავდივარ.

— რას აკეთებთ დასვენების დროს?

— მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობ, მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად ვატარებ სასიამოვნოდ დროს.

— რას ნიშნავს თქვენთვის თავისუფალი დრო?

— ძილს და, რაც მთავარია, ჩემთვის ძვირფას ადამიანებთან დროის გატარებას.

— როგორ გართობას ისურვებთ?

— სასიამოვნო მუსიკა, ცეკვა, საყვარელ ადამიანებთან ყველა თემის განხილვა, მხიარულება და ა.შ.

მოამზადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების II კურსის სტუდენტმა **მარიამ გელეტაშვილმა**

ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲘ ᲗᲡᲣ-ᲓᲐᲜ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტისა და პროექტის „თსუ – დესპანის“ საინიციატივო ჯგუფის წევრებმა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებმა **ᲥᲔᲗᲘ ᲛᲣᲠᲣᲡᲘᲫᲔ** *და* **�გᲘᲝᲠ�გᲘ ᲒᲠᲘ�გᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** *თსუ-ის სტუდენტებს საქმიანი წინადადება შესთავაზეს — „გახდე თსუ-ის დესპანი იმ სკოლაში, რომელიც დაამთავრე!“ — მისია საპატიოა, შესრულება — საპასუხისმგებლო, მშობლიურ სკოლასთან შეხვედრა კი — სასიამოვნო.*

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივას თანამოაზრეებიც გაუჩნდნენ და 21 თებერვალს გაიმართა პრეზენტაცია — „თსუ-ის დესპანი“.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

სტუდენტები არდადეგების პერიოდში თავიანთი სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს მიანვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტის შესახებ და, ასევე, გააცნობენ უნივერსიტეტის ორენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალს — "თსუ მეცნიერება".

„პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება და იგი 28 რაიონს მოიცავს. ღონისძიებაში მონაწილეობს 110 სტუდენტი თსუ-ის ყველა ფაკულტეტიდან. პროექტის მიზანია განათლების უმაღლესი საფეხურის — უნივერსიტეტისა და სკოლების ერთმანეთთან დაახლოება და გათვლილია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის. „თსუ-ის დესპანის“ ფარგლებში სტუდენტები მოსწავლეებს გააცნობენ უნივერსიტეტის ისტორიას, ფაკულტეტების მიმართულებებს, დასაქმების პერსპექტივებს, სამეცნიერო მიღწევებს, უნივერსიტეტის გამოჩენილ კურსდამთავრებულებს და სტუდენტურ ცხოვრებას. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ვიზიტი მშობლიურ სკოლებში ნაყოფიერი იქნება და მოსწავლეებს სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება“, – განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, ინფორმაციული მედიის განვითარების ინსტიტუტის წევრმა გიორგი გრიგოლაშვილმა.

პროექტი სწორედ იმ დროს ამოქმედდება, როცა აბიტურიენტები სწავლის გასაგრძელებლად სასურველ უნივერსიტეტებსა და ფაკულტეტებს ირჩევენ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მათთვის საინტერესო თემებზე ინფორმაციას უშუალოდ სტუდენტებისგან მიიღებენ.

„ამ პროექტის ინიციატორები უნივერსიტეტის ის სტუდენტები არიან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სტუდენტურ ღონისძიებაში და თვითონაც საინტერესო იდეებს გვთავაზობენ. „თსუ - დესპანი“ მათი იდეაა, რომელიც მხარდაჭერას იმსახურებს. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ სკოლის მოსწავლეების მეტ ინფორმირებულობასა და უწყვეტი განათლების, უნივერსიტეტისა და სკოლის უფრო მჭიდრო ურთიერთობების მნიშვნელობაზე. პროექტის იდეაც სწორედ ეს იყო – უნივერსიტეტის ღია კარის დღე სკოლაში! ეს ინიციატივა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მას სტუდენტი ახორციელებს, რადგან სტუდენტი სულ ცოტა ხნის წინ თავად იყო მოსწავლე და კარგად იცის, რა კითხვებზე აინტერესებს პასუხები აბიტურიენტს, რისი მოლოდინი აქვს მას და რას ითხოვს ახალი სასწავლო გარემოსგან. მოსწავლეები თანატოლთან საუბრისას უფრო თამამები არიან, ნაკლებად მორცხვობენ და კითხვებს არა მარტო სწავლების ხარისხსა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე სვამენ, არამედ საოცნებო სტუდენტური ცხოვრების შესახებაც. დამეთანხმებით, პროექტის იდეა მისასალმებელია. თსუ-ის ადმინისტრაცია პროექტის ორგანიზატორებს მხარდაჭერასა და დახმარებას პირდება, რასაც ახორციელებს კიდეც“, - აღნიშნა თსუ-ის რექტორის მრჩეველმა მარინე ლომოურმა, რომელიც ყოველთვის მხარში უდგას სტუდენტურ ინიციატივებსა და „თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის“ საქმიანობას.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

„ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲠᲐᲤᲐᲨᲘ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲐ ᲣᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲝ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲐ”

— პირველი რა ჩაწერე?

— თსუ.

— ოჰ, რა ამბიციაა!..

— სულაც არ მეამბიციურება მე! — ჩემთვისვე გასაკვირი თავდაჯერებით ვუპასუხე და კლასიდან გამოსასვლელად მოვემზადე.

— რეალური გგონია?!

— ძალიან!

— ნათია, შვილო, შეურაცხყოფას არ გაყენებ და არ გეუბნები, რომ ინტელექტი არ გიწყობს ხელს, მაგრამ იცი შენ, რა ბავშვები იქნებიან გამოცდაზე შენი კონკურენტები?! ორი-სამი წელი რომ რეპეტიტორიდან რეპეტიტორთან დარბიან და ყოველწლიურად ათასებს იხდიან მომზადებაში. მომზადებულხარ ოდესმე რამეში?

— მეცხრე კლასში, ინგლისურში, სამი თვით...

— ახლა მისმინე — ერთდროულად ათ კურდღელს ნუ დასდევ. ერთ წელიწადს მოინდომე ყველაფერი — კიდეც გემუშავა, კიდეც სკოლაში გევლო და პლუს ამას (ამ უკანასკნელ ორ სიტყვას, რატომღაც განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი), წლის ბოლოს გამოცდაზე გახვიდე?!.. თან მოუმზადებელი!.. როგორც ჩემს შვილს, ისე გირჩევ, გული ტყუილად რომ არ გაგიტყდეს, არ გახვიდე წელს, შენი ხელფასით მოემზადე ერთი წელი და მერე სცადე ბედი. ისევ შენთვის გეუბნები... თორემ ხომ იცი, რომც ჩაირიცხო, წელიწადში 2 250 ლარის გადამხდელი არაა შენი ოჯახი.

— მე უკვე შევიტანე განაცხადი...

კლასიდან გამოვედი.

* * *

ჩემი მასწავლებლის ამ დედაშვილურმა რჩევამ თითქოს იმ დღეს ვერაფერი დააკლო ჩემს შესაშურ შემართებას, მაგრამ პირველი გამოცდის წინა დღეს, ძილის წინ, მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ ვიყავი ყველაზე გაუნათლებელი ადამიანი პოტენციურ სტუდენტთა შორის.

მერე უცებ გავბრაზდი ყველასა და ყველაფერზე, რაც კი მივიჩნიე იმის მიზეზად, რომ იმ წელს „რეპეტიტორიდან რეპეტიტორთან“ ვერ ვირბინე; გავბრაზდი მშობლებზე, რომლებსაც არ შეეძლოთ ამ ჩემი „სირბილის“ დაფინანსება; გავბრაზდი საკუთარ თავზე, რომ სწორედ იმ წელს მოვინდომე — მქონოდა ჩემი ე.წ. „ჯიბის ფული“ და დროის უდიდესი ნაწილი დავუთმე სამსახურს. ბოლოს, წარსულში რომ ვეღარ დავტიე ეს ჩემი ბრაზი და ბოღმა, მომავალს გადავწვდი, — ახლა იმაზე ვბრაზობდი, რომ სამომავლოდ ოჯახი 2 250 ლარს ვერ გადამიხდიდა ყოველწლიურად...

გადავწყვიტე, დილით გამოცდაზე არ წავსულიყავი.

ფსიქოლოგები ამას „უუნარობის სინდრომს“ უწოდებენ; წინასწარ იზღვევ თავს მოსალოდნელი მარცხისგან და იტოვებ თავის გასამართლებელს — „მე არ მოვინდომე, თორემ შევძლებდი!“ (არადა, რა მწარედ მჯეროდა, რომ არაფერიც არ შემეძლო).

დილით მაინც ადრე გამეღვიძა.

სახლი ცარიელია. ოჯახმა უკვე მოიწყო არდადეგები და სოფელში ისვენებს.

დატოვეს აბიტურიენტი ბავშვი მარტო... უნუგეშოდ... აი, ახლა ძალიან, ძალიან შემეცოდა საკუთარი თავი და კიდევ ერთხელ გავბრაზდი მშობლებზე, რომლებიც არასდროს ერევიან ჩემს საქმეებში! ეს ჩაურევლობა კი ნელ-ნელა უყურადღებობას ემსგავსება!...

ეს ისე, გაბრაზების ობიექტი მჭირდებოდა, თორემ ოჯახი თვითონ „ვაიძულე“ მარტო დავეტოვებინე, რადგან გამოცდაზე ნაკლებად ვინერვიულებდი, თუ თან არავინ მახლდებოდა და სახლში დაბრუნებულსაც კითხვებით არავინ შემაწუხებდა.

მახსოვს, როგორ დავლიე ზედიზედ სამი ჭიქა ყავა და აი, საბოლოო გადაწყვეტილებაც!!! გამოცდაზე გასასვლელად გადახდილი 40 ლარი საშინლად დამენანა და ჩემს თავს ვუთხარი: „სცადე, შენი რა მიდის?!“

მერე ის მახსოვს, აგვისტოს ბოლოსთვის როგორ გამისულერთდა ყველაფერი; ნერვიულობისთვის ნერვია საჭირო და მე ეს ნერვი შერჩენილი აღარ მქონდა. ის იყო, თავი შევამზადე ცხოვრებაში ჩემი პირველი დიდი მარცხის გადასატანად, რომ ბრახ და 100%-იანი დაფინანსება!

* * *

მიყვარს ბებო. ვიცი, მასაც ვუყვარვარ და აი, ახლაც, რომ ვხედავ, როგორი გაბრწყინებული თვალებით ისმენს შვილიშვილის სტუდენტურ ისტორიებს, მიხარია, ასე ბევრს რომ ვნიშნავ მისთვის.

ეგრე ბებო!.. „თქვენია ეს ქვეყანა და თქვენ უნდა იყოთ მომავალში ყველაფრის ბატონ-პატრონი. ბოლომდე უნდა დაიხარჯოთ თქვენ-თქვენს საქმეში. ხელშეწყობა გაქვთ შვილო, ხომ ხედავ... ვინ წარმოიდგენდა ცოტა ხნის წინ, რომ ცარიელი სწავლითა და მონდომებით გახდებოდა ვინმე უმაღლესის სტუდენტი... გიორგი პაპა, ხო იცი, „ბირჟასთან“ რომ ცხოვრობს? მაგისი შვილის განათლებას სამი სახნავ-სათესი შეალია ოჯახმა და კია ახლა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დაყუდებული „ბირჟაზე“. დიპლომი დიდი სიამაყით შემოდო კარადაზე...

მონდომებაა, შვილო, მთავარი და სწავლა-განათლებას ახლა რომ დაფასება აქვს, არ მახსოვს მე, ოდესმე ასე დაფასებულიყოს. მონდომება და სწავლა!“

ძნელია, არ დაეთანხმო ბებოს.

ვინ წარმოიდგენდა (მით უფრო ჩემი მასწავლებელი), რომ მხოლოდ სკოლის განათლების ამარა, ფინანსურად არც ისე შეძლებული ერთი ახალგაზრდა, ხელისუფლებას წელიწადში 2 250 ლარით აზარალებდა? ვერავინ...

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

სემინარი

მესხების საქართველოში რეპატრიაციის შიდაპოლიტიკური და საერთაშორისო კონტექსტები

მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ნაწილი ფიქრობს, რომ მესხები აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოში და ეს ქვეყანას არანაირ ზედმეტ პრობლემას არ შეუქმნის. ნაწილი კი მესხების ჩამოსახლების საკითხისადმი ცალსახად უარყოფითადაა განწყობილი. სწორედ ამ აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს 8-9 თებერვალს თსუ-ის ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სემინარზე.

თამარ დადიანი

საჯარო ლექციების ფარგლებში, უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის სამხრეთ კავკასიური ოფისის მიერ მოწვეულმა ექსპერტებმა: ანთროპოლოგიის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა და დამოუკიდებელმა ექსპერტმა გიორგი თარხან-მოურავმა თსუ-ის მაგისტრანტებს და დოქტორანტებს საინტერესო სემინარების ციკლი შესთავაზეს, რომელიც შემდეგ თემებს მოიცავდა: კულტურული მრავალფეროვნება, ეთნოშორისი ურთიერთობები, ეთნოკულტურული და ლინგვისტური უმცირესობები, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები საქართველოში, დეპორტაცია, რეპატრიაცია, ინტეგრაცია, მესხები და საქართველო.

საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო მოქცეული ინტენსიური მიგრაციების არეალში. შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ როგორც კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები, ასევე ცალკეული ჯგუფები მახლობელი აღმოსავლეთიდან. დროთა განმავლობაში მიგრანტთა ზოგი ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობაში ან სხვა ეთნიკურ ერთეულებში გაითქვიფა, სხვებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული სპეციფიკა.

პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა საინტერესოდ აღწერა, თუ როგორ ხდებოდა სხვადასხვა დროს შემოსული ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების კულტურული ადაპტაცია; რა ჰქონდათ საერთო და რით განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისგან. მან ისაუბრა თანამედროვე საქართველოში არსებული ეთნიკური ვითარების შესახებ და აღნიშნა: „პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გამო საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ერთგვაროვანი არ იყო. მასზე გავლენას ახდენდა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება მიგრაციულ პროცესებთან ერთად. დღევანდელი ეთნიკური ვითარება განპირობებულია XIX–XX საუკუნეებში მიმდინარე პროცესებით. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კლასიფიცირება შესაძლებელია ქრონოლოგიური, რიცხოვნობის, განსახლების პრინციპის, რელიგიური და ენობრივი კუთვნილების მიხედვით. მნიშვნელოვანია ეთნიკურ უმცირესობათა განსახლების ფორმების გათვალისწინება. იმის მიხედვით, კომპაქტურად არიან ისინი დასახლებულნი თუ დისპერსიულად, სასაზღვრო ზოლში თუ ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე, განსხვავებულია მათი ინტეგრაციის ხარისხი და მოთხოვნილებები. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი რეალური სურათის ცოდნა".

ქეთევან ხუციშვილმა აგრეთვე განიხილა სტატისტიკური მონაცემები და ისაუბრა კვლევის მეთოდებზე, რომელთა გამოყენებითაც ხდება მონაცემთა შეგროვება ეთნიკური ჯგუფების შესახებ. ინტეგრაციის ხელისშემშლელი თანამედროვე ფაქტორებიდან მან გამოყო ცოდნის ნაკლებობა, სხვადასხვაგვარი სტერეოტიპების არსებობა, საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი; მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციული ფაქტორების მოშლა; მანიპულირების მეტი საშუალების არსებობა; ენობრივი პრობლემები და მისგან გამომდინარე საკითხები, როგორიცაა განათლების, დასაქმებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის საკითხები. ცალკეული ეთნიკური უმცირესობების დახასიათებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ ეთნოგრაფიულ რეალიებზე, რომლებიც ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდნენ და მშვიდობიან თანაცხოვრებას უწყობდნენ ხელს, კერძოდ, ესენია ღირებულებათა სისტემების და ეთიკური ნორმების მსგავსება; მსგავსი და გაზიარებული ეთნოგრაფიულ-ყოფითი რეალიები (ძმადნაფიცობა-ყონაღობის, ხელოვნური დანათესავების, სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულებები); გაზიარებული სალოცავები, რელიგიური დღესასწაულები და ბაზრობები. რაც შეეხება ემიგრაციის მიზეზებს — დასახელდა უმუშევრობა, ცხოვრების დონის დაცემა, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების დაბალი ხარისხი, პოლიტიკური არასტაბილურობის განცდა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ემიგრაციულ განწყობებზე ნაკლებ გავლენას ახდენს ე.წ. დისკრიმინაციული ხასიათის ფაქტორები: ხელისუფლებისა და მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება ეთნიკური წარმოშობისადმი, მშობლიური ენისა და კულტურის განვითარების შეუძლებლობა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისთვის რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილების დაბალი ხარისხი. აღინიშნა, რომ ინტეგრაციული პროცესებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული სწორი პოლიტიკის შემუშავებაზე, რაც ცალკეული ეთნიკური უმცირესობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, ე.ი. მათი ყოფის რეალური სურათის ცოდნა-ანალიზის გზითაა შესაძლებელი.

დამოუკიდებელმა ექსპერტმა გიორგი თარხან-მოურავმა მიმოიხილა მესხების მიერ გადასახლებაში გატარებული წლები, თანამედროვე ყოფა, თვითმყოფადობა და კულტურა. მან სიღრმისეულად გაანალიზა მესხების საქართველოში რეპატრიაციის შიდაპოლიტიკური და საერთაშორისო კონტექსტები და საინტერესოდ ისაუბრა აგრეთვე იმ საკითხებზე, თუ რა უნდა გაკეთდეს სტალინის მიერ დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან 50-იანი წლების დასაწყისამდე საბჭოთა კავშირის ლიდერები რეგულარულად იყენებდნენ მრავალეროვანი სახელმწიფოს მოსახლეობის იძულებით გადასახლებას, როგორც რეპრესიულ ზომას, მათზე ზედამხედველობის დაწესებისა და დაშინების მიზნით. ისტორიკოსების ცნობით, ამ პერიოდში მშობლიური ადგილებიდან შუა აზიაში და ციმბირში გადაასახლეს დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი, მათ შორის, 8 ეთნიკური ჯგუფი მთლიანად. ამგვარი კოლექტიური დეპორტაციის მსხვერპლნი გახდნენ ვოლგისპირეთში მცხოვრები გერმანელები, ასევე, კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონებში მცხოვრები ბალყარელები, ყარაჩაელები, ყალმუხები, ჩეჩნები, ინგუშები, ყირიმელი თათრები და მესხები, ძირითადად იმ ბრალდებით (გარდა უკანასკნელი შემთხვევისა), თითქოს ისინი ჰიტლერის საოკუპაციო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდნენ.

მესხების დეპორტაცია განხორციელდა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ოქტომბრის №6279 დადგენილებით, მაშინ, როდესაც მესხი მამაკაცები მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ. ამავე წლის ნოემბერში მესხეთში მცხოვრები მთელი მაჰმადიანი მოსახლეობა, მაჰმადიან მესხებთან ერთად მოსახლეობის უფრო მცირე ჯგუფები — მომთაბარე ყარაფაფახები, მაჰმადიანი ქურთები, ჰემშინები, ბოშები და თურქები — იძულებით აყარეს თავიანთი სახლებიდან და პირუტყვის გადასაყვანი ვაგონებით გაუყენეს შუა აზიის გზას. რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწყო კიდევ ერთი მასობრივი დეპორტაციის ოპერაცია მეზობელი აჭარიდან, საიდანაც გაასახლეს მაჰმადიანთა ჯგუფები, რომლებშიც შედიოდნენ: ლაზები, ჰემშინები, ქურთები, მესხები და თურქები. ოფიციალური მონაცემებით, 1944 წლის ნოემბერში ამ ორი რეგიონიდან გაასახლეს სულ 94 955 ადამიანი. საბოლოო ჯამში, უზბეკეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში გადასახლებულთა რიცხვმა 100 000-ს გადააჭარბა.

მას შემდეგ, რაც 1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა, მესხთა რეპატრიაციის საკითხი მთავრობის ოფიციალურ ვალდებულებად გადაიქცა. ევროპის საბჭოს წევრობა ავალდებულებდა საქართველოს შეექმნა საკანონმდებლო ბაზა დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციის, რეპატრიაციისა და ინტეგრაციისთვის, დაეწყო დეპორტირებულ მესხთა რეპატრიაცია და ეს პროცესი დაესრულებინა განსაზღვრული წლის განმავლობაში. 2007 წელს რეპატრიაციის შესახებ კანონის მიღებით ქვეყანაში შეიქმნა სამართლებრივი ჩარჩო მესხების დასაბრუნებლად. ბოლო რამდენიმე წელია, რაც საქართველოს მთავრობა და საზოგადოება ემზადება რეალური რეპატრიაციისთვის, რომელიც უახლეს პერიოდში უნდა დასრულდეს. თუმცა დღეს ბევრს საუბრობენ ამ კანონის ხარვეზებზე. მესხების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ნაწილის აზრით, ეს კანონი ზედმეტ ბიუროკრატიულ ბარიერს უქმნის რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლებს.

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის თანადირექტორის გიორგი თარხან-მოურავის აზრით, ყველა სახელმწიფოს, სადაც ბევრი ეთნიკური ჯგუფია, აქვს პრობლემა – თუ როგორი პოლიტიკა განახორციელოს ეთნიკური ჯგუფების მიმართ. იმპერიულ რუსეთში, გარკვეულად, ორი მიმართულებით იყო მცდელობა: რუსიფიკაციის (რომელიც ხან ძლიერდებოდა და ხან სუსტდებოდა) და მეორე: დიდი ეთნიკური ჯგუფების ფრაგმენტაციის. კომუნისტური პარტიის ლიდერებს შორის იყო დიდი დავა ეთნიკური, ეროვნული პოლიტიკის მიმართ. ეროვნული უმცირესობების მიმართ პოლიტიკა საბჭოთა კავშირში თავისებურად განხორციელდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ უნდა მომხდარიყო ეროვნული უმცირესობების ინკორპორირება, პოლიტიკური ელიტების ჩართვა სახელმწიფოს მმართველობაში თუნდაც საშუალო დონეზე მაინც.

საქართველოში იყო მცდელობა, რომ აქ მცხოვრები ყველა თურქულენოვანი ჯგუფი აზერბაიჯანელებად გაფორმებულიყო. აქედან მოყოლებული საქართველოს სსრ-ში მცხოვრები მესხები მოექცნენ ცვალებადი საბჭოური პოლიტიკის ზეგავლენის ქვეშ, რამაც შედეგად მოგვცა განსხვავებული ოფიციალური (საპასპორტო) სტატუსი იმისდა მიხედვით, თურქიზაციის პოლიტიკა განიცადა ამა თუ იმ ჯგუფმა თუ აზერნაიჯანიზაციისა. ამ დროისათვის მესხებს არ ჰქონდათ მკვეთრად გამოხატული ეროვნული იდენტობა, და თავის თავს ,,იერლი" – ადგილობრივებს უწოდებდნენ. მათ იდენტურობაზე დიდ გავლენას ახდენდა რელიგიური და ენობრივი კუთვნილება. აზერბაიჯანიზაციის პროცესი აისახა ეთნიკური ჯგუფების შიდა საბჭოურ კლასიფიკაციაში. მესხები „აზერბაიჯანელებად" დარეგისტრირდნენ როგორც თავიანთ პასპორტებში, ისე 1939 წლის აღწერის დოკუმენტებში.

საქართველოდან დეპორტაციის შემდეგ მესხი ხალხის მიგრაციულ მოძრაობას ჰქონდა როგორც იძულებითი, ისე ნებაყოფლობითი ხასიათი. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოებების გამო ბევრი მესხი გადადიოდა საცხოვრებლად ახლო და შორეულ ქვეყნებში, ცდილობდა რა შეგუებოდა მუდმივ გადასახლებაში ყოფნას.

დღეს საქართველოში მცხოვრები მესხების რაოდენობა, დაახლოებით, 1000-ია. ისინი, უმთავრესად, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში — გურიასა და იმერეთში სახლობენ. ზოგიერთი მათგანი სამცხე-ჯავახეთსა და თბილისში ცხოვრობს, მაგრამ ეს ციფრიც მხოლოდ სავარაუდოა.

გიორგი თარხან-მოურავი არის თანაავტორი ქართულ ენაზე გამოცემული წიგნისა „მესხები: გზა შინისკენ", რომელიც მან საჩუქრად გადასცა სემინარის ყველა მონაწილეს. მასთან ერთად წიგნის ავტორები არიან: დანიურ-გერმანული კვლევითი ფონდის „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის" რეგიონული დირექტორი კავკასიაში ტომ ტრიერი და „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის" ასისტენტ-მკვლევარი ფორესტ კილიმნიკი.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, რეპატრირებულმა მესხმა ამირან ყურაძემ, რომელმაც დეპორტაციის წლებში საკუთარი ოჯახის ცხოვრებასა და საქმიანობაზე ისაუბრა, თუ რა სიძნელეებისა და პრობლემების გადალახვა მოუხდათ იმ მძიმე წლებში და რა სირთულეებს წააწყდა ოჯახი რეპატრიაციის პროცესის დროს.

„ოჯახის წევრები ეროვნების აღდგენის შემდეგ საქართველოში დავბრუნდით და აფხაზეთში, აჩიგვარაში დავსახლდით, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ სხვადასხვა მიზეზების გამო აქ არ გაგვაჩერა და ისევ აზერბაიჯანში გადაგვასახლეს. მამაჩემი ქართული ორიენტაციის იყო და არ უნდოდა აზერბაიჯანში დაბრუნება. მაშინ ამ საკითხს ოჯახში ბაბუა წყვეტდა, მამა ბაბუას დაუპირისპირდა და მათ შორის უთანხმოება მოხდა. ოჯახი გაიყო, მამაჩემი თავის ნათესავებს დაშორდა და საცხოვრებლად ყაბარდო-ბალკანეთის მხარე აირჩია. ამ წლებში საქართველოში დაბრუნება გვეკრძალებოდა, ვერ ჩავეწერებოდით, მაგრამ 1977 წელს მაინც მოვახერხეთ საქართველოში დაბრუნება და გურიაში დავსახლდით, სადაც დღემდე ვცხოვრობთ. მესხები, დღეს, ძირითადად, ნასაკირალში – გურიაში და იანეთში - იმერეთში, ცხოვრობენ. ბედნიერი ვარ, რომ ქართულ ფესვებს დავუბრუნდი", — აღნიშნა ამირან ყურაძემ.

სემინარის ბოლოს გაიმართა დისკუსია, მასში მონაწილე სტუდენტებმა საკითხებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს და კონკრეტული დეტალებით დაინტერესდნენ.

რატომ უნდა ვაქციოთ იდეა პროდუქციად

დღეს, ზოგადად მსოფლიოში, ქვეყნების ეკონომიკური მიღწევების საზომად ითვლება მათი კონკურენტუნარიანობა, რომლებიც უშუალო კავშირშია მეცნიერების კომერციალიზაციასთან (ინტენსიური კვლევების წარმოება, მათი შედეგების ათვისება ინოვაციების სახით და ამ ინოვაციების რეალიზაცია ბაზარზე).

თსუ-ში მეცნიერების კომერციალიზაციის მიმართულებით კვლევები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრში“ ტარდება.

„ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრს“ წელს დაარსებიდან მე-4 წელი შეუსრულდა. იგი 2007 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ სამეცნიერო-საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულად დაამტკიცა. ეს ცენტრი სპონტანურად არ წარმოშობილა. მას საფუძვლად დაედო ყოფილ საინჟინრო-ეკონომიკურ (შემდეგში მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის) ფაკულტეტზე ჩემ მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამების მიხედვით 1997 წლიდან წაკითხული სალექციო კურსები: „ინოვაციური მენეჯმენტი“, „ორგანიზაციული მენეჯმენტი“, „ინვესტირების საფუძვლები“, „ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა“ და „ბიზნეს-კომუნიკაციები“.

ცენტრის მიზანია მეცნიერების კომერციალიზაციისთვის ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს: ვენჩურული ინვესტიციების კვლევას; კონსულტაციებს, როგორც ტექნოლოგიების ტრანსფერის გადაცემის, ისე პატენტების, ლიცენზიებისა და საავტორო უფლებების საკითხებში; მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობას; მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარებას; პერსპექტიულ ინოვაციურ პროექტებზე მონაცემთა ბანკის ჩამოყალიბებას; უნივერსიტეტის ინტელექტუალური პოტენციალის პრაქტიკულ ჩართვას კვლევების კომერციალიზაციის პროცესში.

ამ მიზნის მისაღწევად ცენტრში მიმდინარეობს სისტემატური მუშაობა, რაც, შესაბამისად, ასახულია იდეების გენერირების პროცესებზე: მიმდინარე კვლევებზე და გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე.

„ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრმა“ საუნივერსიტეტთაშორისო რესპუბლიკური მასშტაბის სამეცნიერო ორი კონფერენცია გამართა აკადემიურ პერსონალისთვის და ორი კონფერენცია სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის, აგრეთვე, ორი საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია.

ცენტრის მიერ გამოცემულია სამეცნიერო შრომების 2 კრებული.

ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი ჩართულია საგრანტო კონკურსებში, მაგალითად, ცენტრში მომზადდა საქართველოს სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარების ფონდისთვის პროექტი, რომლის მიზანიც იყო მზის ენერგიის გამოყენება.

„ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრში“ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებითაც. შემუშავებულია დოქტორანტებისთვის არჩევითი სასწავლო კურსი „მეცნიერების კომერციალიზაცია“. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმზე ამერიკის ერთერთ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ერთად და დაფინანსების მოპოვებისთანავე ეს პროგრამა წარდგება აკრედიტაციისთვის.

დღეისათვის ცენტრში ჩატარებულია კვლევები მეცნიერების კომერციალიზაციის 4 მოდელზე.

კომერციალიზაციის პროცესის რაციონალური გამოყენების მიზნით პირველ რიგში აუცილებელია ინოვაციების კომერციალიზაციას შევხედოთ სახელმწიფო და კერძო სექტორის თვალით (მათ შორის, როგორც უნივერსიტეტების, ისე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გათვალისწინებით).

კომერციალიზაცია განეკუთვნება იმ ღონისძიებათა სერიას, რომელსაც საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად ფირმები ახორციელებენ ცოდნის და ტექნოლოგიების გარდასაქმნელად ახალ პროდუქტებად, პროცესებად ან მომსახურებად.

კომერციალიზაციის პროცესისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციურ კადრებს (მეცნიერებს, ინჟინრებს, მენეჯერებს და ა.შ.).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ინოვაციების მარკეტინგზე, რომელიც მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით მარკეტინგის ახალი მეთოდის დანერგვას წარმოადგენს დიზაინში ან შეფუთვაში, პროდუქტის განთავსებაში ან ფასში. ინოვაციების მარკეტინგი მიმართულია კლიენტების უკეთ დაკმაყოფილებისაკენ, ახალი ბაზრების აღმოჩენაზე ან უკვე არსებულ ბაზარზე პროდუქტის ხელახლა პოზიციონირებაზე, ფირმის მოცულობის გაზრდის მიზნით.

ინოვაციების წამქეზებელ მექანიზმს პირველ რიგში კონკურენცია წარმოადგენს. მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში მისი მწარმოებლები და მომხმარებლები დიფერენცირებულ ზარალს განიცდიან, რის გამოც იძულებულნი ხდებიან — ინოვაციების ათვისების მეშვეობით ეძებონ საკუთარი საწარმოო დანახარჯების შემცირების შესაძლებლობები. იმ სამეწარმეო ფირმებს, რომლებიც ეფექტურ ინოვაციებს აითვისებენ, შესაძლებლობა ეძლევათ შეამცირონ საწარმოო ხარჯები და შესაბამისად, საქონლის (პროდუქტის, მომსახურების) რეალიზების ფასიც.

ინოვაციური ბიზნესის არსს მუდმივი ექსპერიმენტი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია გეგმები, კვლევები, რესურსების აზრიანი განაწილება, მაგრამ ბაზრის შესწავლას კიდევ განაპირობებს რამოდენიმე გარემოება: ბაზრის გლობალიზაცია, კონკურენციის გამწვავება, გარემოში ცვლილებების ზვავისებური ზრდა და მომხმარებლის დომინირება ბაზარზე.

ინოვაციური იდეის რეალიზებასთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს რეალური რისკების და რეალური მოგების მოლოდინებთან დაკავშირებულ ორ მნიშვნელოვან საკითხზე: 1) პროექტიდან მიღებული მოგება საგრძნობლად მეტი უნდა იყოს, ვიდრე მისი რეალიზების ხარჯები და 2) პროექტთან დაკავშირებული რისკი დასაშვებ ფარდობაში უნდა იყოს მისი რეალიზებით მიღებული უკუგების სავარაუდო შეფასებასთან.

ძალიან პერსპექტიულ იდეასაც კი „თავისთავად“ არ მოაქვს ნოვატორი საწარმოსთვის წარმატება ბაზარზე. მან ინოვაციური საქმიანობის მიზანს რომ მიაღწიოს, უნდა მიიღოს მონოპოლიური ზემოგება, ასევე, სამეწარმეო ფირმას სჭირდება შესაბამისი პირობების დაცვა და



იოსებ მასურაშვილი

გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებაც. ამ სიტუაციებში, სათანადო პროცესის საკმარისი მოქნილობის გამო, უკეთესად მიჩნეულია მცირე ინოვაციური ფირმები.

პროდუქტის კონკურენტულ წარმატებას დღევანდელ ბაზრებზე, ძირითადად, სამეწარმეო საქმიანობის ისეთი მახასიათებლები განსაზღვრავს, როგორიცაა ძველი პროდუქციის ახლით ჩანაცვლების სისწრაფე, ნაწარმის ხარისხის და საიმედოობის დონე, ფასი და ა.შ.

საერთო ეკონომიკური მაჩვენებლების სანაცვლოდ, მიღწევები ტექნოლოგიურ განვითარებასა და ინოვაციების მენეჯმენტში დღეს არის ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის და ეროვნული სამრეწველო პოლიტიკის ეფექტიანობის საზომი. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ქვეყანა განვითარებას იწყებს საკუთარი, თუ სხვებისგან გადმოღებული ტექნოლოგიური მიღწევების საფუძველზე. მთავარია, მან მოახერხოს ზემოთ ხსენებული მახასიათებლების სრულყოფა ინოვაციური პროცესების სათანადო წარმართვის მეშვეობით (ამის მაგალითია ახალი ქართული საწარმო „ალგორითმი“).

ამ მახასიათებლებით წინსვლის პრაქტიკულად ამოუწურავი რეზერვების არსებობაზე არაერთი ქვეყნის სწრაფი და შედეგიანი ინდუსტრიული განვითარების გამოცდილება მიუთითებს (იაპონია, სინგაპური და ა.შ.).

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის არსებობს ოთხი მთავარი პირობა: 1) ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, 2) ეროვნული ორიენტირები, 3) სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, 4) ინდუსტრიის მწარმოებლობა.

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ, ზოგჯერ, ქვეყნები, რომელთაც საკუთარი პოტენციალის განვითარება „სუფთა ფურცლიდან“ უნევთ, ამ პირობების შექმნის თვალსაზრისით, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე (და ამ მხრივ საქართველოს დიდი პერსპექტივა გააჩნია), ვიდრე ინდუსტრიალიზებული სახელმწიფოები, რომელთაც ამისთვის უკვე ჩამოყალიბებული ვითარების შეცვლა უწევთ.

მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების განვითარების ხელშეწყობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ცოდნის აკუმულირების და შეთვისების უნარის არსებობას, რისი დეფიციტიც საქართველოში ნამდვილად არ გაგვაჩნია და ესეც არის ერთერთი დადებითი მხარე ჩვენი ქვეყნისთვის.

ცოდნის შედეგიანი შეთვისება შესაძლებლობას აძლევს ინდივიდებს, საწარმოებსა და საზოგადოებებს მოახდინონ წარმოებაში გამოყენებული რესურსების უტილიზება, სრულყონ საკუთარი კვალიფიკაცია და ამით მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის განვითარებაში.

საქართველო დღეს მწვავედ განიცდის მეცნიერების და ტექნიკის სფეროში იმ სინდრომის უკმარისობას, რომელმაც უკანასკნელ წლებში სერიოზული დარტყმა მიაყენა ევროპას, რაც „ევროპის პარადოქსითაა“ ცნობილი.

დღეს საქართველოს აქვს უნიკალური შანსი - ახლო მომავალში იამაყოს საკუთარი ეროვნული ღირსებით, რისი მიღწევაც შესაძლოა ქართველების გონებაში არსებული იდეების გადაქცევით სწორედ ისეთ პროდუქციად, პროცესებად და მომსახურებად, რომელიც თანამედროვე ბაზრისთვის იქნება მისაღები.

იოსებ მასურაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის“ ხელმძღვანელი

კონფერენცია

ჯოისის საერთაშორისო გავლენა ლიტერატურაზე

შურთხია ბეროშვილი

2 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია — „ჯოისის საერთაშორისო გავლენა ლიტერატურაზე“ გაიმართა, რომელიც ჯეიმს ჯოისის დაბადებიდან 130 წლისთავს და „ულისეს“ გამოქვეყნებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და დოქტორანტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს კანადის, აშშ-ის და რუმინეთის უნივერსიტეტების პროფესორებმა, რომლებმაც მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრეს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და უცხოელმა სტუმრებმა კონფერენციაზე მწერლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნა-შრომები წარმოადგინეს.

XX საუკუნის ერთერთი ყველაზე გავლენიანი ირლანდიელი მწერლისა და პოეტის ჯეიმს ჯოისის შემოქმედება დღემდე ლიტერატორებისა და კრიტიკოსების განსჯის საგანია. მას ეკუთვნის ყველაზე გახმაურებული რომანი „ულისე“, რომელიც 1922 წელს დაიწერა და რომელმაც მწერალს საყოველთაო აღიარება და დიდება მოუტანა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სხვა ნაწარმოებები: „ფინეგანის სამძიმარი“, მოკლე ნოველების კრებული „დუბლინელები“, ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ჯოისმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი ირლანდიის საზღვრებს გარეთ გაატარა, მისი ფსიქოლოგიური და ბელეტრისტული სამყარო ეყრდნობა მშობლიურ დუბლინს — ქალაქს, რომელიც წარმოადგენს მისი შემოქმედებითი სამყაროს მთავარ მოქმედების ადგილს. მსოფლიო ლიტერატურაში ჯოისი ერთერთ ყველაზე გავლენიან მოდერნისტ ავტორად ითვლება. მისი რომანი „ულისე“ ჰომეროსის „ოდისეას“ მიხედვით დაწერილი ნაწარმოებია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო ევროპულ, არამედ საერთაშორისო ლიტერატურაზე. „ამოუხსნელი და იდუმალი“ — ხშირად ასეც ახასიათებენ ჯოისის შემოქმედებას. ამერიკელი მწერალი ფრენკ ბაუმი იმასაც კი ამბობდა, რომ „ულისეს“ წაკითხვა შეუძლებელია – მისი მხოლოდ ხელმეორედ წაკითხვაა შესაძლებელი“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე პროფესორებმა დიდი მწერლის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტებზე ისაუბრეს.

დოქტორმა მაია ყიასაშვილმა „ულისეს“ ქართული თარგმანის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ულისე“ იმ წიგნებს განეკუთვნება, რომელთა შესწავლასა და თარგმანს შეიძლება ცხოვრება შეალიო და მაინც მხოლოდ ოდნავ შეეხო მის სიღრმეს. მისი აზრით, რომანის კითხვა გაძნელებულია არა მარტო

საკუთრივ ენობრივი თვალსაზრისით, არამედ მასში მრავალი ისტორიული, კულტუროლოგიური, მუსიკალური, ფილოსოფიური და ლიტერატურული ალუზიების სიმრავლის გამო, რაც მას სათარგმნელად ურთულეს ნაწარმოებად აქცევს.

მაია ყიასაშვილმა თავის ნაშრომში ნიკო ყიასაშვილისეულ თარგმანზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ იმ პერიოდში, როდესაც „ულისე“ ითარგმნა, ჯოისი მიიჩნეოდა არასასურველ მწერლად, ამიტომ ზოგიერთ ქართველ ლიტერატორს ამ თარგმანის მიმართ მძაფრი რეაქცია ჰქონდა.

„განსაკუთრებულად ბუნებრივად ითარგმნა ის პასაჟები, რომელთაც სტილური ანალოგია დაეძებნა ქართულ ლიტერატურაში. სათარგმნელად ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს ალუზიები და სიტყვათა თამაში. მრავალი ირლანდიული, ლათინური, იტალიური, ფრანგული და გერმანული ფრაზები სქოლიოშია ნათარგმნი, მაგრამ კომენტარს თავისი დატვირთვა აქვს: რეალიები და მათი მინიშნებები ქართველი (და არა მარტო) მკითხველისთვის სრულიად დაიკარგება, რომ არა განმარტება. საკუთრივ რელიგიური, კულტურული, ყოფითი ალუზიების გარდა, „ულისეში“ მრავლადაა თავად ჯოისის პირადი ცხოვრების ეპიზოდების მინიშნება. ბევრია, ასევე, მრავალი მწერლისა და განსაკუთრებით შექსპირული ალუზიები, რომელთა ნაწილი ქართველი მკითხველისთვის გაუგებარია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხშირად ესა თუ ის ფრაზა ან ხატი ქართულ კლასიკურ თარგმანში სრულიად არ გვხვდება“, — აღნიშნა მაია ყიასაშვილმა.

მისი ინფორმაციით, „ულისეს“ ახალი ვარიანტი, რომელიც 2012 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა, სრულია იმ გაგებით, რომ იგი შედარებულია 1984 წლის სამტომიან სინოპტიკურ გამოცემასთან და მთლიანად რედაქტირებული და შევსებულია.

თსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი ყუფარაძემ თავის მოხსენებაში „ინტერტექსტუალური და სტილისტური ელემენტები ჯ. ჯოისის „ეველინში“ ნაწარმოების ლინგვისტურ ანალიზზე გაამახვილა ყურადღება. საინტერესო იყო ბელა ხაბეიშვილის მოხსენება — „შინაგანი მონოლოგი ჯეიმს ჯოისის შემოქმედებაში“, ასევე, მანანა გელაშვილის — „ჯაკომო ჯოისი“, როგორც ხელოვანის პორტრეტი“, დავით მაზიაშვილის — „ჯოისი და პოსტმოდერნიზმი ტომ სტოპარდის პიესა „ტრევესტისში“, ილია გასვიანის — „აპოლინერის ულისე და ჯოისის ულისე“, კოკა გუნცაძის — „რომანის კრიზისი და ახალი ლიტერატურული განზომილებების ძიება“ და სხვა.

კონფერენციის მონაწილეებმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. პროფესორ- მასწავლებლებმა დოქტორანტებს ჯოისის შემოქმედებასთან დაკავშირებული ის სამეცნიერო ლიტერატურა შეურჩიეს, რომლებზეც ისინი მომავალში იმუშავებენ და რომელთაც შემოდგომისთვის დაგეგმილ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოადგენენ.

მოსწავლეთა „ვიქტორინა – 2012“

თამარ დადიანი

18 თებერვალს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში მოსწავლეთა ვიქტორინა გაიმართა.

ვიქტორინაში თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, გურჯაანისა და საგარეჯოს 25 საჯარო და კერძო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

ვიქტორინაში მონაწილეობა 25 გუნდმა მიიღო. თითოეული გუნდი 6 მოსწავლით იყო წარმოდგენილი. მათ 15 შეკითხვას გასცეს პასუხი. შეკითხვები მოიცავდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნებს, როგორიცაა გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა და მათემატიკა. თითოეული საგნიდან დასმული იყო 3 შეკითხვა. პასუხის მოფიქრების დრო გათვლილი იყო კითხვის სირთულეზე და, შესაბამისად, ქულების რაოდენობაც განსხვავებული იყო.

ვიქტორინა გახსნა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, სრულმა პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა, რომელმაც აღნიშნა: „თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა უკვე რამდენიმე ვიქტორინას უმასპინძლა. დღევანდელი ვიქტორინა გამორჩეულია, რადგან წინა ვიქტორინებში გამარჯვებისთვის საკმარისი იყო მხოლოდ ერთი საგნის ცოდნა, ხოლო დღეს გამარჯვების მისაღწევად ფაკულტეტის პროფილის შესაბამისად მოსწავლეებმა სხარტი აზროვნება და გარკვეული ცოდნა უნდა გამოავლინონ საგნებში მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია. მხოლოდ ერთი საგნის ძალიან კარგი ცოდნითაც კი დღევანდელ ვიქტორინაში გამარჯვების მოპოვება შეუძლებელია. სამომავლოდ განსაზღვრულია ვიქტორინის რამდენიმე ტურად ჩატარება და კიდევ ერთი პროფილური საგნის - ინფორმატიკის დამატება. იმედი მაქვს, რომ ასეთი ვიქტორინები უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს და მოსწავლეებში კიდევ უფრო პოპულარული გახდება. ვიქტორინის დღევანდელ მონაწილეებს შორის არიან დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და ვიმედოვნებ, რომ წელს ისინი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები გახდებიან“.

„ვიქტორინა – 2012“-ის ჟიურის წევრები თსუ-ის სხვადასხვა მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ – გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი დალი ნიკოლაიშვილი (ჟიურის თავმჯდომარე), ბიოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი ეკატერინე ბაკურაძე, გეოგრაფიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი გიორგი დვალაშვილი, მათემატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი თენგიზ კოპალიანი, ატომური ფიზიკის ლაბორატორიის გამგე რამაზ ლომსაძე, ბიოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი ირინა მოდებაძე, ფიზიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი თეიმურაზ ნადარეიშვილი და ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატორიის გამგე მაია რუსია.

ვიქტორინის ყველა წევრი გამარჯვებისათვის იბრძოდა, თითოეულ მოპოვებულ ქულას ხალისითა და მხიარული შეძახილებით ხვდებოდნენ.

I ადგილზე გავიდა თბილისის 173-ე საჯარო სკოლის გუნდი. II ადგილის მფლობელი გახდა თბილისის 42-ე საჯარო სკოლის გუნდი და ქუთაისის პირველი სკოლის გუნდი, ხოლო III ადგილი თბილისის 52-ე საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა. გარდა ამისა, კიდევ 7-მა სკოლამ მოიპოვა საგზური შემდეგ ტურში გადასასვლელად, ესენი არიან: ვაზისუბნის (გურჯაანი), თბილისის 77-ე, 18-ე, 50-ე, 215-ე, 161-ე საჯარო სკოლები და თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია. როგორც ჟიურის თავმჯდომარემ, პროფესორმა დალი ნიკოლაიშვილმა აღნიშნა: „ვიქტორინაში მონაწილე მოსწავლეები ძალიან კარგად ფლობდნენ სასწავლო მასალას. ეს მოსწავლეები სკოლაშიც გამოირჩევიან თავიანთი აქტიურობით და მეტად საინტერესო შეკითხვებს სვამენ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ გუნდების გამარჯვების წინაპირობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა იმ ფაქტმაც, რომ მათი დიდი ნაწილი სწავლის გაგრძელებას სწორედ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აპირებს“.

„დიდი მადლობა ყველას, ვინც საშუალება მოგვცა მონაწილეობა მიგვეღო ასეთ საინტერესო ღონისძიებაში. ვიქტორინაში მონაწილე ყველა გუნდი კარგად მომზადებული და ორგანიზებული იყო. ასეთი სახის კონკურსები მიღებული ცოდნის შეფასებასა და განმტკიცებაში დაგვეხმარება“, — განაცხადა თბილისის 51-ე საჯარო სკოლის გუნდის კაპიტანმა ნინო ყელბერაშვილმა.

გამარჯვებულებს სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გადასცა.

ვიქტორინის ორგანიზებასა და მსვლელობაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის თანამშრომლები: თამარ ჭელიძე და ხათუნა კახიანი. ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი გეოგრაფიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები: ნათია აკობია, თეონა გეგელიძე, გიორგი გულიაშვილი და სხვები.

წიგნის თარო

ახალი სამეცნიერო კრებულების პრეზენტაცია იურიდიულ ფაკულტეტზე

საკორპორაციო სამართალი და ქართული სამართლის ისტორია სამართლის ის მიმართულებებია, რომელთა შესახებაც სამეცნიერო კვლევების რაოდენობა დიდი არ გახლავთ. საქართველოში არ გამოცემულა სამეცნიერო კვლევითი ფუნდამენტური ნაშრომები, რაც აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს მეტი ინფორმაციის მიღებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას მისცემდა. თუმცა, 10 თებერვალს, იურიდიული ფაკულტეტის დაარსების სა ზეიმო თარიღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაზე თსუ-ის იურიდიულმა სა ზოგადოებამ 2 ახალი წიგნის პრე ზენტაცია გამართა. ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის რედაქტორობით მომზადებული „საკორპორაციო სამართლის კრებული“ და პროფესორ გიორგი დავითაშვილის მონოგრაფია „დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში“ მნიშვნელოვნად ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც დღემდე სამართლის აღნიშნულ მიმართულებებში არსებობდა.

ნატო ოგოლაძე

„ბატონმა გიორგიმ ფუნდამენტალური ნაშრომი დაწერა ქართული ჩვეულებითი სამართლის დარგში. ძალიან ბევრი სამეცნიერო კვლევა დაწერილა დღემდე ამ მიმართულებით, მაგრამ ასეთი სრულყოფილი ნაშრომი ქართულ სინამდვილეს არ ახსოვს. თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე ყოველწლიურად ხდება მონოგრაფიების პრეზენტაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პოსტ-საბჭოთა სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ამ მხრივ წინ წაიწია და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი აზროვნების სტილით ევროპის ბევრ ქვეყანას უსწორებს თვალს.

რაც შეეხება კორპორაციულ სამართალს, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში, როდესაც სამოქალაქო კოდექსზე მუშაობა უნდა დაწყებულიყო, სასწრაფოდ მივიღეთ კანონი მეწარმეთა შესახებ, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი იყო. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ შემდეგ ყველაზე მეტი ცვლილება სწორედ მეწარმეთა შესახებ კანონში შევიდა. დღეს ამ დარგში უკვე ცალკეული მიმართულებები გამოიყო და საუკეთესო მონოგრაფიები იწერება. ვითარდება კერძო სამართლის, საკორპორაციო სამართლის სკოლები. მინდა, მივულოცო ბატონ ირაკლი ბურდულს „საკორპორაციო სამართლის კრებულის“ გამოცემა, ასევე, იმ ახალგაზრდებსაც, რომელთა ნაშრომებიც კრებულში შევიდა“, — ასე შეაფასა ახალი სამეცნიერო ნაშრომები იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ.

„საკორპორაციო სამართლის კრებული“ სამართლის მეცნიერების ახალგაზრდა მკვლევართა აკადემიური სტატიების ნაკრებია. მასში შესულია აკაკი ქირიას — „საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში“; ნიკოლოზ გულაშვილის — „კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში“ (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით); დავით მაისურაძის — „სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში“ (აშშ-სა და საქართველოს სამართლის მაგალითზე); სალომე რობაქიძის „ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგებები და კერძო-სამართლებრივი შედეგები“ და გიორგი მახარობლიშვილის — „საკორპორაციო-სამართლებრივ კომბინაციათა თავისებურებანი საწარმოთა შერწყმის პროცესში“. კრებული საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის საზოგადოების ეგიდით გამოიცა, რომელსაც ირაკლი ბურდული ხელმძღვანელობს. საზოგადოების მიზანი საკორპორაციო სამართლის მიმართულებით სამეცნიერო კვლევების განხორციელება და ამ პროცესში ახალგაზრდა მკვლევარების აქტიური ჩართვა გახლავთ.

„მინდა გითხრათ, რომ ეს ინსტიტუტი არსად არის დაფიქსირებული. იგი ერთგვარი შიდა საზოგადოების ნაირსახეობაა. ჩვენთვის მთავარია, სამართლის ამ მიმართულებით უფრო მეტი და ხარისხიანი სამეცნიერო კვლევები განვახორციელოთ. განსაზღვრული გვაქვს, გამოვცეთ „საკოპორაციო სამართლის კრებულის“ II ტომიც. დაახლოებით გაწერილი გვაქვს ის საკითხები, რომლებიც მასში იქნება მოცემული. მეორე ნაწილი რომ უკეთესი გამოვიდეს, გვინდა უფრო მეტი ახალგაზრდა მკვლევრები შემოვიკრიბოთ“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

„საკორპორაციო სამართლის კრებული“ საქართველოში გამოცემული პირველი წიგნია, რომელშიც საკორპორაციო სამართლის თანამედროვე და აქტუალური საკითხებია განხილული. თუმცა არანაკლები მნიშვნელობისაა წიგნი „დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში“. ნაშრომი ქართული სამართლის ისტორიის ყველაზე ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევა გახლავთ. პროფესორი გიორგი დავითაშვილი მასზე, დაახლოებით, 6 წლის მანძილზე მუშაობდა. პროფესორმა კვლევა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე განახორციელა და იგი შეეხება დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის ისეთ საკითხებს, როგორიცაა დანაშაულთა სახეების კლასიფიკაცია, დანაშაულში თანამონაწილეობა, დანაშაულის სუბიექტი, სასჯელთა სახეები და მიზნები, სისხლის აღების ტრადიცია და სხვა. ნაშრომში, ასევე, გამოყენებულია სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად მოპოვებული და დღემდე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალა.

„ჩემი ნაშრომი იმ საქმიანობის გაგრძელებაა, რომელიც იურიდიულმა საზოგადოებამ 80-იან წლებში პროფესორ მიხეილ კეკელიას ხელმძღვანელობით წამოიწყო. მეც მისი მოწაფე გახლდით და მის მიერ ორგანიზებულ ექსპედიციებშიც ვიღებდი მონაწილეობას. ამ ექსპედიციების შედეგად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქართულ ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი უნიკალური მასალა ჩაიწერა. ჩემი სამეცნიერო კვლევა სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზეა შესრულებული. ნაშრომი XIX საუკუნის მეორე ნახევრის და მთლიანად XX საუკუნის ქართული ჩვეულებით სამართლის შესახებ არსებულ ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეფუძნება. მათი დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელი საარქივო მონაცემებია, რაც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა პროფესორმა გიორგი დავითაშვილმა.

სამეცნიერო ნაშრომების „საკორპორაციო სამართლის კრებულისა“ და „დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში“ პრეზენტაციას თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ. ახალი სამეცნიერო მონოგრაფიების გამოცემა ავტორებს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმაც მიულოცა. მან აღნიშნა, რომ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი საქართველოში ყველაზე ძლიერი სამართლის სკოლაა, რაზეც მისი სტუდენტების წარმატება და პროფესურის აქტიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაც მეტყველებს.

ПРОФИЛИ

მემკვიდრეობით განმტკიცებული ქიმიკოსის პროფესია

ჭავჭავაძის გამზირზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის ახლომახლო ხშირად შეხვდებით ადამიანს, რომელიც ახალგაზრდებთან საუბარსა და მსჯელობაში ხშირად არის გართული...

უნივერსიტეტელებმა იციან, რომ ეს თბილი და ყურადღებიანი ადამიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ გვერდწითელია — ლექტორი, რომლის ლექციებიც არასოდეს სრულდება განსაზღვრულ დროში — გრძელდება შესვენებებზეც, ქუჩაშიც და სახლშიც, ყველგან, სადაც კი მისი რჩევა, კონსულტაცია ან მხარდაჭერა სჭირდება ვინმეს.

იგი სულ ახლახან 60 წლის გახდა.



ბატონი მიხეილის პიროვნული ღირსებებისა და პროფესიონალიზმის შეფასებას მისი კოლეგები უკეთ ახერხებენ, ამიტომაც პირველად სწორედ მათ მიულოცეს დამსახურებულ პედაგოგსა და მეგობარს საიუბილეო თარიღი. იმ გულწრფელ სიტყვებს შორის, რომელიც მიხეილ გვერდწითელისადმი მიძღვნილ წერილში იკითხება, არის აბზაცი, რომელიც ზუსტად გამოხატავს ამ ადამიანის ცხოვრებისეულ კრედოს — იყოს ადამიანი ადამიანთა შორის. კოლეგები წერენ: „უპირველეს ყოვლისა, ბატონი მიხეილი ახალგაზრდა თაობის შესანიშნავი აღმზრდელია. დღეს იშვიათად ნახავთ ადამიანს, რომელსაც ასე გულთან მიჰქონდეს ახალგაზრდა კაცის ნებისმიერი გასაჭირი. ეს თვისება მას განსაკუთრებით უხვად აქვს მომადლებული. ამ სტრიქონების ავტორებს კარგად ახსოვთ, თუ რამდენი ახალგაზრდისთვის გაუწვდია მას დახმარების ხელი წლების მანძილზე. მას შეუძლია ხანგრძლივი დროის განმავლობაში უანგაროდ ამეცადინოს და კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტს ქიმიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, უცხო ენაში...“

წერილს, კოლეგების სახელით, ხელს აწერენ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პროფესორი შოთა სამსონია და ასოცირებული პროფესორი გიორგი ჩაჩავა. სწორედ მათ გვერდით უხდება მოღვაწეობა ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის მიმართულების პროფესორს მიხეილ გვერდწითელს, რომელთან ინტერვიუც ისეთივე სისადავითა და თავმდაბლობით გამოირჩევა, როგორიც თავად ბატონი მიხეილია.

მამის აჩრდილი...

მიხეილ გვერდწითელი ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ილია გვერდწითელის ოჯახში გაიზარდა. ბატონი ილია წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრას, იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი, ბრწყინვალე პედაგოგი და ორგანიზატორი.

ბატონი მიხეილი მამის ხსოვნას ახლაც მოწიწებით მიეახლება და იხსენებს: „ოჯახში ოთხნი ვიყავით: დედა, მამა, ბებო და მე... სიმშვიდე, სიწყნარე სუფევდა. დედა — გალინა გრებეშნიკოვა გეოლოგი გახლდათ და ერთი პერიოდი პედაგოგად მუშაობდა, მაგრამ ჩემი გაჩენის შემდეგ მამის სურვილს დაჰყვა და მხოლოდ ჩემი აღზრდით იყო დაკავებული. მამა მთლიანად სამეცნიერო და საუნივერსიტეტო საქმიანობაში იყო გადართული. სახლში თითქმის ვერ ვხედავდით. იგი ასკეტური ბუნების ადამიანი გახლდათ, მეტად სერიოზული და სამართლიანი, იმდენად მომთხოვნი, რომ მახსოვს, როცა უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე და მის საგანში გამოცდა დამინიშნეს, თავად არ ჩაიბარა, ჩემთვის ცალკე შექმნა კომისია. მამას ემოცია ნაკლებად ემჩნეოდა. მე მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მას სიყვარულის გამომჟღავნება შეეძლო, როცა დავინახე, როგორ ეფერებოდა ჩემს შვილს. სამაგიეროდ, მისი დამსახურება იყო, რომ ჩვენს ოჯახში ადამიანური და პიროვნული ღირებულებები ყოველთვის მაღლა იდგა — ერთმანეთის პატივისცემა, უფროსებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება, შრომის სიყვარული მისი დამკვიდრებული იყო და ეს ტრადიცია ინერციით შემდეგ ჩემს ოჯახშიც გაგრძელდა — მეც ასე გავზარდე ჩემი შვილები“...

სწორედ მამის დამსახურება იყო, რომ ბატონ მიხეილს პროფესიის არჩევა არ გასჭირვებია. თბილისის 55-ე სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. თუმცა მანამდე მას სკოლის პედაგოგებისადამი მადლიერების გამოხატვაც არ ავიწყდება და თანაკლასელებსაც სიყვარულით იხსენებს.

გარემო, რომელშიც „სხვაგვარი“ ვერ გაიზრდებოდა...

„ისეთი მასწავლებლები და თანაკლასელები მყავდა, სხვაგვარი ვერც ვიქნებოდი...“ — ამბობს ბატონი მიხეილი და განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებს ქიმიის მასწავლებლებს: ლილი ლორთქიფანიძეს და გოგუცა ბურჯანაძეს... მათ მიერ გაღვივებული ცოდნის ნაპერწკალი ბატონ მიხეილს დღესაც ათბობს და აღნიშნავს, რომ სკოლა ის სამჭედლოა, სადაც ახალგაზრდამ თავისი მომავალი პროფესიის კონტურები უნდა გამოკვეთოს. მის სკოლაში ეს სამჭედლო, როგორც ჩანს, მართლაც არსებობდა, რადგანაც თურმე სკოლის დამთავრებისას, 1968 წელს, თბილისში გაცემული 69 ოქროს მედლიდან 13 მის კლასში გადანაწილდა. „ეს იყო გასაოცარი შედეგი. მათ შორის კი, ვისი სწავლის შედეგიც ოქროს მედლით შეფასდა, მეც გახლდით. არაჩვეულებრივი მეგობრები მყავდნენ, მათ შორის, დღეს უკვე ცნობილი პროფესორები: თამაზ არეშიძე, პავლე მაჭავარიანი, მალხაზ კვანჭილაშვილი და სხვები. სხვათა შორის, ნიჭიერთა ათწლედში გადასვლამდე ჩვენთან სწავლობდა ჩვენი საამაყო პიანისტი – ლექსო თორაძეც.

ძალზე თბილ გარემოში გავიზარდე. ჩემს გარშემო იყვნენ წესიერი, ღირსეული ოჯახები და ოჯახის შვილები. ასე რომ, სხვაგვარად ცხოვრების უფლება არც მე მქონდა“, — გვითხრა ბატონმა მიხეილმა.

უნივერსიტეტში...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე პირველივე წელს ჩაბარა. 1974 წელს, როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, იგი სწავლის გასაგრძელებლად მიავლინეს მოსკოვში, ელექტროქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც დიდი ქართველი ფიზიკოსის, რევაზ დოღონაძის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ბატონი მიხეილი დღესაც უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით იგონებს თავის აღმზრდელ მასწავლებელს. მისი დახასიათებით, რევაზ დოღონაძე იყო უაღრესად განათლებული, თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე, არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მიხეილ გვერდწითელის მეცნიერულ აღმასვლაში.

1993 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1994 წლიდან მიენიჭა პროფესორის წოდება. 1995 წლიდან არის ნიუ-იორკის აკადემიის წევრი, ამავე წელს მიენიჭა სოროსის ასოცირებული პროფესორის წოდება. 2011 წელს კი ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრად აირჩიეს.

ბატონი მიხეილი არის საქართველოში მათემატიკური ქიმიის სკოლის ფუძემდებელი. მისი ხელმძღვანელობით ამ სფეროში დაცულია 2 სადოქტორო და 5 საკანდიდატო დისერტაცია. იგი არის ჟურნალ „თსუ შრომების“ რედაქტორის მოადგილე, „საქართველოს ქიმიური ჟურნალის“ ერთერთი დამფუძნებელი და რედკოლეგიის წევრი. ამავე დროს იგი არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი და ამ მიმართულებით გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი და გამოცემული აქვს 40 კრებული.

„წლების მანძილზე ბატონი მიხეილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი, ქიმიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ქიმიის დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს ქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. ყველა ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობისას იგი დიდი გულისხმიერებით და პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამავე დროს იგი რამდენიმე საგრანტო პროექტის ავტორი და მონაწილეა.

მიხეილ გვერდწითელს გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი მეცნიერული შრომა ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის და ინგლისური ენის სფეროში. იგი არის 102 წიგნის (მათ შორის 6 ძირითადი და 20 დამხმარე სახელმძღვანელო), 4 სალექციო კურსის, 4 ბიბლიოგრაფიის, 15 მონოგრაფიის ავტორი. ორ სხვა ქართველ ქიმიკოსთან ერთად ბატონი მიხეილი ქიმიის დარგში პირველი საყმაწვილო ენციკლოპედიის თანაავტორია, რომელმაც დიდი მოწონება და აღიარება ჰპოვა“, — აღნიშნულია მისი კოლეგების წერილში. თავად ბატონი მიხეილი კი სამეცნიერო მუშაობის ამ მეტად დატვირთულ წლებს და წარმატებებს უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტს, პროფესორ-მასწავლებლებსა და კოლეგებს უმადლის.

„ჩემი სტუდენტობისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სკოლა ძალიან მაღალი დონის იყო. აქტიური სტუდენტური ცხოვრება გვქონდა... ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, ექსკურსიები... გვყავდა ბრწყინვალე ლექტორები, მაგალითად, ვიქტორ კოკოჩაშვილი — უნიკალური პიროვნება – ენციკლოპედიური განათლებით და ბრწყინვალე პედაგოგიური თვისებებით; გიორგი ციციშვილი, რომელიც ასევე ძალიან კარგად დაგვამახსოვრდა. მინდა გითხრათ, რომ მოსკოვის ასპირანტურაშიც დიდი ქიმიკოსები მასწავლიდნენ, მაგრამ არც სამეცნიერო დონით და არც პედაგოგიური პრაქტიკით, ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორები მათ არ ჩამოუვარდებოდნენ“, — იხსენებს ბატონი მიხეილი.

სამეცნიერო რანგში აყვანილი გატაცებები

მიხეილ გვერდწითელი არანაკლები წარმატებით მოღვაწეობს მეცნიერების სხვა დარგებშიც. კერძოდ, იგი არის სოციალური ფსიქოლოგიის საზოგადოების წევრი და ამ მიმართულებით პუბლიკაციებიც აქვს გამოქვეყნებული. მუშაობს ტოპოლოგიაში — გრაფების თეორიაში და ამ სფეროშიც რამდენიმე სერიოზული და ყურადსაღები ნაშრომით არის ცნობილი.

და მაინც, ყველა ამ რეგალიისა და წარმატების უკან ყველაზე მნიშვნელოვანი — მიხეილ გვერდწითელის პიროვნული ღირსებები დგას. ის არის პედაგოგი, მრჩეველი, მასწავლებელი და სტუდენტების დიდი მეგობარი. ჩვენს კითხვაზე: — არის თუ არა სწავლების მისეული მეთოდი სტუდენტთა წარმატების საფუძველი, გვპასუხობს, რომ მას ახალგაზრდებთან ასეთი დამოკიდებულება მისმა პედაგოგებმა ასწავლეს. „ვცდილობ, მივბაძო ჩემს მასწავლებლებს, რომლებიც სკოლასა და უნივერსიტეტში მყავდა. მათთან შედარებით ჩემი მცდელობა ალბათ უსუსურია, მაგრამ ამ მცირე ძალისხმევასაც კი მოჰყვება ხოლმე ჩემი სტუდენტების მხრიდან სიყვარული და პატივისცემა. რაც მთავარია, მე ამას ვგრძნობ და ასეთივე პატივისცემით ვპასუხობ, ოღონდ ეგაა, ცოტა გული მეთანაღრება იმაზე, რომ ქიმიის და საბუნებისმეტყველო საგნებისადმი სიყვარული ცოტა ახალგაზრდას მოჰყვება სკოლიდან. ის თაობა, რომელიც ქიმიის შესასწავლად მოდის უნივერსიტეტში, სამწუხაროდ, მწირი საბაზისო ცოდნითაა შეიარაღებული და ჩვენ სასკოლო ქიმიის სწავლებაში ვკარგავთ დროს. ბაკალავრიატის კურსდამთავრებული დღეს აღარ არის იმ დონისა, რაც ადრინდელ დიპლომირებულ სპეციალისტს ჰქონდა, რადგანაც პირველი ორი წელი, სამწუხაროდ, ჩვენ სკოლის ხარვეზების გასწორებას ვუნდებით. მაგალითს გეტყვით: ორ თანაავტორთან ერთად გამოვუშვი საყმაწვილო ენციკლოპედია ქიმიაში. რამდენიმე წლის წინ IV კურსელებს ვთხოვე, გადაეხედათ მისთვის. გასაოცარი პასუხი მივიღე — ბევრი რამ ვერ გავიგეთო... წარმოიდგინეთ, რომ ეს წიგნი სკოლის მოსწავლეებისთვის იყო განკუთვნილი...“ — ამბობს იგი და მიზეზად, სკოლაში წლების განმავლობაში შექმნილ ცოდნის ვაკუუმთან ერთად, დასაქმების მცირე პერსპექტივასაც ასახელებს: „ჩვენი გაზრდილები აქ ადგილს ვერ პოულობენ და უცხოეთში საკმაოდ წარმატებულები არიან. ხშირად მისაუბრია სტუდენტებთან ამ საკითხზე და თითქმის ყველას ერთი პოზიცია აქვს – დავამთავრე ქიმიის ფაკულტეტი, მერე რა? გამოყენებით ქიმიას კიდევ ეშველება რაღაც, მაგრამ თეორიულ ქიმიასა და, ზოგადად, ფუნდამენტურ მეცნიერებას ძალზე ბუნდოვანი მომავალი აქვს. მათემატიკოსებთან უკეთესი მდგომარეობაა — მათემატიკოსს ლაბორატორია მხრებზე ადგას. მათი ლაბორატორია ქაღალდი, კალამი და გონებაა, საბუნებისმეტყველო საგნებში კი, სადაც ლაბორატორიის გარეშე არაფერი გამოვა, ცოტა მოვიკოჭლებთ. ტრადიციულად ასე იყო — ყველაზე ძლიერი ქართული სკოლა მათემატიკაში, ფსიქოლოგიასა და ფუნდამენტურ მეცნიერებებში იყო. რატომ? იმიტომ, რომ ფუნდამენტურ მეცნიერებებში ქართველი კაცის ნიჭი იყო წარმმართველი და არა ფინანსები“, — გულისტკივილით აღნიშნავს მიხეილ გვერდწითელი, თუმცა იმედს გამოთქვამს, რომ უნივერსიტეტი დაძლევს პრობლემებს და მალე გააუმჯობესებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას იმ დონეზე, რომ ქართველ მეცნიერებს ყველაზე რთული ცდების ჩატარებაც აღარ გაუჭირდებათ. „ყველაზე მეტად მაინც ის მიხარია, რომ ჩვენს ფაკულტეტზე წლების განმავლობაში დანერგილი ურთიერთპატივისცემა და კოლეგიალობა ინერციით გრძელდება. ურთულესი წლები გავიარეთ და მიზერულ ხელფასზე ვიცხოვრეთ. რაკი ეს სიძნელეები ერთიანობით გადავიტანეთ, სხვა პრობლემებსაც ერთად დავძლევთ“, — ამბობს მიხეილ გვერდწითელი.

ტრადიცია

ილია გვერდწითელის ტრადიციას მიხეილ გვერდწითელის ოჯახი აგრძელებს. მისი მეუღლე, ქალბატონი მარეხიც ქიმიკოსია და უნივერსიტეტში მუშაობს, ასევე ქიმიის დოქტორია ბატონი მიხეილის ვაჟი – ილია გვერდწითელი. მხოლოდ ქალიშვილმა, ეკატერინე გვერდწითელმა აუარა გვერდი ქიმიას, მაგრამ მამის სამეცნიერო გატაცებებიდან შორს არც ის წასულა — იგი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტია და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა.

სულ ბოლოს ბატონი მიხეილი შვილიშვილის, პატარა ცოტნეს სურათს გვიჩვენებს და დარწმუნებით ამბობს: არ ვიცი, ცოტნე ქიმიის გზას გაჰყვება თუ არა, მაგრამ ის კარგი და შრომისმოყვარე ადამიანი იქნება, რადგან ასეთია ჩვენი ოჯახის ტრადიცია. ასე გაიზარდნენ ჩემი შვილები და ასე იზრდება ცოტნეც...

მოამზადა მაია ტორაძემ

ესსეების სტუდენტურ კონკურსში გამარჯვებულნი

ნატო ოგოლაძე

CABIR-ის (საერთაშორისო ურთიერთობების განვითარები პროექტი) კურსდამთავრებულთა საქართველოს საბჭომ ესსეების კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები დააჯილდოვა. კონკურსი „ადამიანის უფლებები – 2011“, რომელიც, ამჯერად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თემაზე გაიმართა, თსუ-ში 2011 წლის 15 დეკემბერს გამოცხადდა და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი ფაკულტეტის III და IV კურსის ბაკალავრებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შეეძლოთ. CABIR-ის კურსდამთავრებულებით დაკომპლექტებულმა კომისიამ 20 სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომებიდან 11 საუკეთესო გამოარჩია და გამარჯვებულნი სპეციალური სერტიფიკატებითა და საკანცელარიო ნივთებით დააჯილდოვა. როგორც ესეების კონკურსის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, წინა წლებში ჩატარებული კონკურსებისგან განსხვავებით, ამჯერად მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომები გაცილებით პროფესიონალურად იყო დაწერილი. „რელევანტური, სტრუქტურულად სწორად აგებული, ინფორმაციულად მდიდარი“ — ეს ის კრიტერიუმებია, რომელთა მიხედვითაც ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა.

თსუ-ის საერთაშორისო მიმართულების დოქტორანტმა ნინო ფარსადანიშვილმა კონკურსზე ესსე სახელწოდებით — „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა სიცოცხლის უფლებისადმი“ წარადგინა. ნაშრომი სიცოცხლის უფლების დაცვისადმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას და იმ გარანტიებს მიმოიხილავს, რაც სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით ევროპული კონვენციით არის გათვალისწინებული.

„კონკურსში მონაწილეობა საინტერესო იყო. კიდევ ერთხელ გადავხედე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამ მიმართულებით გავიღრმავე ცოდნა. ჩემთვის ეს გამარჯვება ბევრს ნიშნავს, რადგან კიდევ ერთხელ შევაფასე საკუთარი შესაძლებლობები. ჩემს ნაშრომში სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზებასთან ერთად აისახა ევროპული სახელმწიფოების, კერძოდ: გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის, ნიდერლანდების და დანიის კანონმდებლობა სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე საქართველოში არსებულ მდგომარეობასაც. საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის კოდექსის, სამოქალაქო კოდექსისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიმოხილვასთან ერთად ყურადღება გავამახვილე დემოგრაფიულ მდგომარეობაზე და ამ მხრივ ბოლო წლებში გაუმჯობესებულ სტატისტიკურ მონაცემებზეც“, — გვითხრა ნინო ფარსადანიშვილმა.

CABIR-ის კურსდამთავრებულთა საქართველოს საბჭოს მიერ ორგანიზებული ესეების კონკურსის თემამ — ადამიანის უფლებათა ეროვნული სასამართლო, სტუდენტებს საშუალება მისცა არაერთი აქტუალური საკითხის შესახებ ემუშავათ, გაეღრმავებინათ ცოდნა, ემსჯელათ და გაეანალიზებინათ ესა თუ ის პრობლემატური თემა. მაგალითად, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა თინა საბაძემ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით განჭვრეტადობის პრინციპი განიხილა.

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი შეიცავს მრავალ ისეთ საქმეს, რომელიც განჭვრეტადობის პრინციპზე დაყრდნობით გადაწყდა. განჭვრეტადობის პრინციპის გათვალისწინებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აფასებს, თუ რამდენად იყო ქვეყნის შიდა კანონმდებლობა განჭვრეტადი და ნათელი სუბიექტებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ამ მიმართულებით საკმაოდ მდიდარია, სასამართლოს მიერ განხილული საქმეები ცხადყოფს ამ პრინციპის მნიშვნელობას ეროვნული სახელმწიფოს ნორმათა შეფასებისას. პრეცედენტულმა სასამართლომ რამდენიმე ათეული წელია დაამკვიდრა საქმეების განხილვა თანაზომიერების და განჭვრეტადობის (foreseeable) პრინციპზე დაყრდნობით“, — წერს თინა საბაძე და აღნიშნული განაცხადის დამამტკიცებელ მაგალითებსაც განიხილავს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს დანიშნულების შესახებ მოგვითხრობს ესეების კონკურსის ერთერთი გამარჯვებული, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი გულიკო რაზმაძე.

„ძალიან მაინტერესებს ადამიანის უფლებების საკითხები. ამ კონკურსის თემა იმდენად ახლოს იყო ჩემთან, რომ მაშინვე გადავწყვიტე ესსეს დაწერა. კონკრეტული საკითხი არ ამირჩევია, ნაშრომში ყველა ის ძირითადი სფერო განვიხილე, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ეხება. სხვადასხვა წყაროები გამოვიყენე. ვფიქრობ, ამ კონკურსში გამარჯვებამ ბევრი რამ მომიტანა ცოდნის გაღრმავების მხრივ“, — გვითხრა გულიკო რაზმაძემ.

აღსანიშნავია, რომ CABIR-ის კურსდამთავრებულთა საქართველოს საბჭოს მიერ ორგანიზებული ესეების კონკურსში გამარჯვებულებმა გარდა იმ პრიზებისა, რომლებიც გადაეცათ, შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი საჩუქარიც მიიღონ.

CABIR-ის კურსდამთავრებულთა საბჭო შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ხელშეწყობით სტუდენტურ სამეცნიერო ღონისძიებებს აზერბაიჯანსა და სომხეთშიც მართავს. როგორც თეონა მდივანმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, უახლოეს მომავალში რეგიონული ხასიათის პროექტების განხორციელებაც იგეგმება, რომლებშიც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას.

სტუდენტური მინიატურები

შურთხია გეროშვილი

თამარ ლეჟავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებაზე სწავლობს და თავისუფალ დროს მინიატურებს წერს. თავიდან თვლიდა, რომ წერა მისთვის ჰობი იყო და მხოლოდ თავისუფალ დროს იღებდა ხელში კალამს, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ გატაცება სერიოზულ საქმედ ექცა და ამის გარეშე არ შეეძლო.

მის ცხოვრებაში პარადოქსებიც ხდება — კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებაზე სწავლობს, მაგრამ არქეოლოგია უფრო იტაცებს — ამის თაობაზე თავის ერთერთ მინიატურაში მოგვითხრობს. მას მოსწონს ძიება, წინააღმდეგობების გადალახვა, უყვარს აღმოჩენა და საქმიანი და სასარგებლო საქმის კეთება. აი, რას წერს ერთერთ მინიატურაში „არქეოლოგიური ექსპედიცია“: — „პალიასტომის ტბის წყალი, როგორც წესი, ამღვრეულია. ეს მუშაობაში ხელს გვიშლის, მაგრამ რადგან ნაპირთან იქვე, თხელ წყალში ვდგავართ, მაინც კარგი შედეგი გვაქვს. წყალი მუხლამდე ძლივს გვწვდება. ტბის ფსკერი მოფენილია კერამიკის ფრაგმენტებით, ზოგიერთი მათგანი კი წყლის პატარა ბინადრების ნიჟარებითაა დაფარული. ჩვენ ვაგროვებთ მათ ნაპირთან და საღამოობით ავტობუსით ბაზაზე მიგვაქვს; იქ კი ყოველდღიურად ხდება მათი გაწმენდა და დახარისხება. თითოეული ფრაგმენტი ძალიან ძვირფასია, ამიტომ დიდი ყურადღებაა საჭირო. სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით ვწმენდთ, ვრეცხავთ და ვაშრობთ. შემდეგ ხდება მათი ტიპოლოგიური დაჯგუფება და ამგვარად გამზადებული მასალის ჩახატვა და ფოტოგრაფირებაც აუცილებელია. თითოეულ საეტაპო სამუშაოში სტუდენტები ვმონაწილეობთ. ერთი თვეც თითქმის მიილია ამგვარ ყოფაში, წვიმიანი გამოდგა წლევანდელი აგვისტო ფოთში, რამაც ძალიან შეგვიშალა ხელი. ტბაში აღმოჩენილი კერამიკა, ძირითადად, რომაული პერიოდისაა. ხელთ გვაქვს უამრავი საინტერესო არტეფაქტი, კარგი სტუდენტური პრაქტიკა და მხიარული ექსპედიციური საღამოები. იშვიათი სტუდენტური აგვისტო იყო – მხიარული, საქმიანი და სასარგებლო...“

ალბათ ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ თამარ ლეჟავა მომავალში ამ მიმართულებით აპირებს სწავლის გაგრძელებას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე. ამ სფეროში წარმატებას რომ მიაღწიოს, უცხო ენებს: ლათინურს, ძველბერძნულს, იტალიურ და ინგლისურ ენებს ეუფლება.

ლიტერატურულ კონკურსებში მონაწილეობა ჯერ არ მიუღია, უნივერსიტეტის ეგიდით გამართულ „შემოდგომის ლეგენდაშიც“ იმიტომ ვერ მიიღო მონაწილეობა, რომ მაშინაც არქეოლოგიურ ექსპედიციაში იმყოფებოდა, მაგრამ მომავალში ამ „შეცდომასაც“ გამოასწორებს. რაც შეეხება წიგნის გამოცემას, თვლის, რომ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა, რადგან ნამდვილ მწერლობამდე დიდი და რთული გზაა...

მისი მინიატურები უშუალო შთაბეჭდილებებით არის ნაკარნახევი. ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრება აქვს: ჰყავს ბევრი მეგობარი, რომლებთან ერთად თავისუფალ დროს შინაარსიანად ატარებს. განსაკუთრებით კარგ განწყობაზე მაშინ არიან, როდესაც სტიპენდიას იღებენ, ამ დროს არჩევანის შესაძლებლობა მეტია, თუმცა თამარს და მის მეგობრებს განსაკუთრებით „კინოს სახლი“ უყვართ, სადაც კინო-შედევრებს აწყობენ და ბილეთიც იაფია. მეგობრები თეატრებსაც ხშირად სტუმრობენ.

მისი მინიატურა „ჩვენი სტიპენდია“ სწორედ ამ თემატიკას ეხმიანება: „დღეს პრეზიდენტის სახელობის სტიპენდია ავიღეთ. როცა ეს ხდება, ერთად ვსხდებით და ლუდს ვსვამთ, უკვე ტრადიციულად. თუ მაისია, მზიურში ვსხდებით, თუ იანვარი – სადმე მყუდრო ბარში. ჰოდა, მარიამი ამბობს: – მოდი, ლუდს თავი დავანებოთ და კინოს სახლში წავიდეთ, ამ საღამოს ფედერიკო ფელინის რომელიღაც ფილმს აჩვენებენო. ჰო, მართლა, ჩვენ კინოს სახლიც ძალიან გვიყვარს, კარგ ფილმებს ვუყურებთ ხოლმე სულ რაღაც ერთ ლარად! უსახსრო სტუდენტთა საქმეა პირდაპირ! მაგრამ დღეს ჩვენ უსახსრო სტუდენტები არ ვართ, პრეზიდენტის სტიპენდია ორი საათის წინ დაგვერიცხა საკრედიტო ბარათზე. ამიტომ, ვიდრე კინოს სახლში წავალთ, ლუდსაც დავლევთ. მორჩა, გადაწყვეტილია... ლექციებიც დამთავრდა უკვე, ფეხით ჩავუყვევით ჭავჭავაძის გამზირს...“

მისი საყვარელი მწერალი სერვანტესია, თვლის, რომ „დონ-კიხოტის“ მსგავსი წიგნი იშვიათად დაწერილა. ქართველი მწერლებიდან კი გურამ დოჩანაშვილს გამოარჩევს.

თამარი უცხოეთში — საბერძნეთში ან იტალიაში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობს. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კონკურსში მონაწილეობას გეგმავს. მანამდე კი თბილისში, ოჯახთან ერთად ცხოვრობს. როდესაც გამოცდები ეწყება, ბებია მის მეგობრებს ჩაით და მურაბით უმასპინძლდება და საინტერესო ამბებს უყვება, მისი ერთი მინიატურაც ამ ამბავს ეძღვნება:

„ხვალ კოლოკვიუმი მაქვს პალეოგრაფიაში. არ მინდა ცუდად დავწერო, მაგრამ კარგადაც რომ ვერ დავწერ, ფაქტია. მორჩა, დღეს მანაგაძეს დავურეკავ და ჩემთან მოვიყვან, ერთად ვიმეცადინებთ. ბებია ჩაის დაგვალევინებს და მეათასედ მოგვიყვება შალვა ნუცუბიძემ რომ ხუთიანი დაუწერა სტუდენტობისას. ჩემს ოჯახში მე და ბებია თსუ-ის სტუდენტები ვართ, ისე განიცდის ყველა კოლოკვიუმს და გამოცდას, სირცხვილი იქნება დიპლომში მარტო ჩემი სახელი რომ ეწეროს ბოლოს. ისიც კი იცის, რომ ძველ ბერძნულ გრამატიკაში „მესამე კანკლედობაა“ ჩემი სუსტი წერტილი და როცა უსაქმოდ მხედავს ხოლმე, სულ მეუბნება – გადახედე ახლა იმ მესამე კანკლედობის სახელებსო. ბებია ძალიან კეთილი მოხუცია, მის დანაოჭებულ სახეს რომ ვუყურებ, გული სიყვარულით მევსება ხოლმე.

მანაგაძე ძალიან უყვარს ბებიაჩემს, ასე ამბობს: კარგი და „მეცადინი“ ბავშვიაო. როცა მანაგაძე მყავს სტუმრად, ფეხაკრეფით დადის და თავის საფირმო ჟოლოს ნამცხვარს გვიკეთებს, რათა მეცადინეობის შემდეგ გაგვიმასპინძლდეს.

დღეს კარგად ვიმეცადინეთ, ჟოლოს ნამცხვარიც მივირთვით... ბებიამ ეს-ესაა დაამთავრა შალვა ნუცუბიძის ამბავი.

მანაგაძე წავიდა. ხვალ კარგად დავწერთ კოლოკვიუმს, იმედია“.

თამარი უშუალო გოგოა და ეს მის მინიატურებშიც იგრძნობა...

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ლიკა პეტრიაშვილი**
კომპიუტ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62